საერთო გაზეთი

№18 (523) • 22 მაისი, 2019წ. • ოზურგეთი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

სამეგრელო არავის არაფერს შეარჩენს - ქვეყანა მალე იხილავს რულოვსის და მისი გუნდის სამარცხვინო ქმედებების ამსახველ კადრებს

სამეგრელო - „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური სამარე

სანდრა ველისაპედ რულოვსი ყველა იმ დანაშაულის თანამონაწილე და იდეური მხარდამჭერია, რომელიც მის კრიმინალ ქმარს აქვს ჩადენილი

სანდრა რულოვსი შურისძიებით და ქართველების მიმართ სიძულვილით შეპყრობილი მეომარი მდედრია, რომელსაც უნდა ვიკინგივით შემოიხიოს ტანზე ჩვენი ქვეყანა

„ნაცმოძრაობა“ არ არის პარტია, ის ახალი ტიპის „მხედრიონია“, გაცილებით სახიფათო და საშიში ქართული სახელმწიფოსთვის, ვიდრე მისი წინამორბედი იყო

„ლურჯი ვეშაპი“ და მდედრობითი სქესის ჯაყო ჰოლანდიიდან

გზა თბილისიდან სოხუმამდე, სამეგრელოზე გადის!

სამეგრელო არავის არაფერს შეარჩენს – ყველაფერი გადალებულია, ქვეყანა მალე იხილავს რულოვსის და მისი გუნდის სამარცხვინო ქმედებების ამსახველ კადრებს

გვესაუბრება „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის წევრი, მწერალი, ბატონი ლაშა გვასალია

— ბატონო ლაშა, გილოცავთ გამარჯვებას. ამ პოლიტიკურ ბრძოლაში დიდია თქვენი წვლილი, თუმცა ზუგდიდის მოსახლეობის გარეშე არავითარ ბრძოლას აზრი არ ექნებოდა, დამეთანხმებით, ალბათ, ამაში.

— დიდი მადლობა მოლოცვისთვის.

მართალი ბრძანეთ, ამ გამარჯვებაში უდიდესი როლი შეასრულა ხალხმა. ხალხი გულთამხილავია. ის სიყვარულს სიყვარულით პასუხობს. მათ დაინახეს, საით იყო სიმართლე, წესიერება და იქითკენ

გადაიხარნენ. დიდი მადლობა მათ გულწრფელობისთვის, სიმამაცისთვის, გვერდში დგომისთვის.

როგორც კუზიანს ვერ გაასწორებს სამარის გარდა ვერაფერი, ისე „ნაციონალები“ არ გამოსწორდებიან. სანდრა გაიმარჯვებსო, დარწმუნებული იყვნენ და იმუქრებოდნენ დაჭერებით, ცრუ ბრალდებების კორიანტელს აყენებდნენ.

ზუგდიდის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრა ჩემს წინააღმდეგ, ია კერზაიას მკვლელობა დამაბრალა. მე მას შევპირდი, რომ სასამართლოში ვუჩივლებდი და ამას აუცილებლად გავაკეთებ.

— ანა წითლიძემ წამოგიყენათ ასეთი მძიმე ბრალდება?

— დიახ, ზუგდიდის საკრებულოს „ნაცმოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარემ ანა წითლიძემ, რომელიც არის უტიფარი, უნიჭო, ავადმყოფი და ჭკუასუსტი. ის მაბრალებს მე ადამიანის მკვლელობას. ესაა „ნაცმოძრაობის“ სახე.

ანა წითლიძემ პირდაპირ მითხრა: შენ დაისჯები ია კერზაიას მკვლელობის გამოო, დაისჯები, რომ არჩევნები გააყალბეო, არადა, თითქმის ყველა თანხმდება, რომ ზვიად გამსახურდიას შემდეგ ასეთი დემოკრატიული არჩევნები არ ჩატარებულა.

სხვათა შორის, ჩვენს მხარდასაჭერად თბილისიდან ჩამოვიდნენ მწერლები, ქართული კულტურის სხვა წარმომადგენლები და რომ დაინახეს, რა ხდებოდა ზუგდიდში, თქვეს: აქ ისეთი სიტუაციაა, თითქოს ნაციონალები არიან კვლავ ხელისუფლებაში, ხოლო „ქართული ოცნება“ ოპოზიციაშიო. ნაციონალები იმდენად გამომწვევად იქცეოდნენ, რომ მათი ატანა ძალიან ძნელი იყო. აშკარად ჩანდა, ისინი სხვა რამისთვის ემზადებოდნენ. ამბობდნენ კიდევაც: ზუგდიდიდან უნდა დამთავრდეს ეს ხელისუფლებაო. ეს გამარჯვება უნდა ყოფილიყო მათი ტრამპლინი ხელისუფლებისკენ, მათი სისხლიანი მმართველობის რეინკარნაციის დასაწყისი.

იმდენად თავხედობდნენ, რომ ქუჩაში მაისურზე 41-წარწერიან ახალგაზრდას თუ დაინახავდნენ, დასცინოდნენ: არ გრცხვენიათ, დიდხოდილ ყვარიას (დედამო...ულ ყვავს — მეგრ.) რომ უჭერთ მხარსო? ეს ბინძური კამპანია, „რუსთავი-2“-დან ქუჩებში გადმოვიდა. ადამიანებს იწვევდნენ კონფრონტაციისკენ, წინააღმდეგობებისკენ.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს ძალოვნებს, რომლებმაც პროფესიონალიზმის მწვერვალი აჩვენეს არა მხოლოდ არჩევნების დღეს, არამედ წინასაარჩევნო პერიოდში. ამ ადამიანებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ კონფრონტაცია არ მომხდარიყო და არჩევნები მშვიდად და ნორმალურად ჩატარებულიყო.

არჩევნების დღეს მე და ედიშერ თოლორაია, ზუგდიდის მაჟორიტატი დეპუტატი, სოფელ კახათში ერთ ქალბატონს შევხვდი თ. ამ დღეებში მასზე წერდა და ლაპარაკობდა პრესა — როგორ ჩამოაგლიჯა მას გვარამია ნიკამ ბეიჯი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ქალბატონი, ფაქტობრივად, გალახა გვარამიამ. მიზანი აქაც იყო კონფრონტაციის გამოწვევა და არეულობის შექმნა. ჩვენ არ წამოვეგეთ ამ პროვოკაციას, ამიტომაც გვეძახდნენ უუნაროებს, უცოდინარებს. განსაკუთრებით აქტიურობდა გვარამია და მისი გარემოცვა, ე.წ. ჟურნალისტები, მაგრამ, საბედნიეროდ, გადავიტანეთ ეს უბედურება. ყველაფერს ვძლიეთ, საკუთარ თავსაც, საკუთარ წუხილსაც, საკუთარ თავმოყვარეობასაც, შურისძიების წყურვილსაც.

— მახსოვს, როგორ შეიკავეთ თავი ნიკა მელიასთან და თინათინ ბოკუჩავასთან დაპირისპირებისას, ზუგდიდის საკრებულოში.

— ნიკა მელია არის უტიფარი კაცი. სადაც კი გამოჩნდებოდა, იქ იწყებოდა ხელჩართული ბრძოლა.

საკრებულოში შექმნილი ინციდენტის დროს ის კაბინეტში გავიყვანე მოსალაპარაკებლად. ავუხსენი ჩემი პოზიცია და ვუთხარი: რად გინდათ აურზაური და 500 კაცი ერთი განცხადების შემოსატანად. მოიტანეთ განცხადება, მაგრამ არეულობას ნუ ქმნით-მეთქი. მათ უნდოდათ, შეხლა-შემოხლა, კაბინეტებში ჩაჯდომა, რია-რია, რომ მერე ულტიმატუმები წამოეყენებინათ და ეთქვათ: აი, თმობენ ხელისუფლებას, არ უნდათ, არ შეუძლიათ მართვაო და ა.შ. მაშინ ვუთხარი მელიას: ყველა დაისჯება, ვინც დანაშაულს ჩაიდენს და თუ თქვენი მოთხოვნა ლეგიტიმური იქნება და არავინ არ დაისჯება, მერე დაიწყეთ პროტესტი-მეთქი. წინდაწინ რა იცით, რა რეაგირება მოჰყვება თქვენს განცხადებას, დებოშს რომ ტეხთ-მეთქი. წარმოიდგინეთ, მშვიდად მესაუბრა. არც კი მჯეროდა, ნიკა მელიას თუ ვესაუბრეობდი, მაგრამ გამოვიდა თუ არა ოთახიდან, კამერების წინ ისევ თვალების ბრიალი დაიწყო, ვერ ვიცანი ისე ალაპარაკდა. როგორც ჩანს, თავს აწონებდა ვინმეს, თორემ სინამდვილეში ესენი არიან კურდღლები.

— ვის შეიძლება აწონებდნენ თავს?

— ვფიქრობ, სააკაშვილს, თუმცა გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ მელია სააკაშვილს აჩვენებდა თავს, რადგან ახლახან გამოჩნდა, რომ დაუპირისპირდა. შეიძლება ნიკა მელიას სურს საზოგადოებას დაუმტკიცოს, რომ მაგარი ბიჭია. ის კი არ იციან, რომ მაგარი ბიჭობა არის ზრდილობიანობა, სიმართლე, ღირსეული საქციელი. გინება, ძაგება და ფურთხება არაა კარგი ბიჭობა.

ახლები ვართო და ახლებურად ვაზროვნებთო. რა ახლები ესენი არიან, შევარდნაძიდან მოყოლებული ჩამჟავებულ-ჩაბჟირებულები არიან პოლიტიკაში. ყელში ამოუვიდა ხალხს მაგათი მაიმუნობა.

არავითარი უფლება არ აქვთ ხალხთან ისე მოიქცნენ, როგორც იქცევიან. ამიტომ მინდა მივმართო იმ ე.წ. ნჯო-ებს, ქალბატონ ინგა გრიგოლიას და სხვებს — რატომ არ გიჩნდებათ პროტესტის გრძნობა გვარამია რომ ბილწი სიტყვებით იგინება ეთერში, დიდახოდილ ყვარიას და ათას სიბინძურეს რომ ამბობს? ეს კიდევ არაფერი. პირდაპირი ეთერით აგინებს ქვეყნის პრეზიდენტს. რა ხდება, გვარამიას ყველაფერი ეპატიება? ისიც ეპატიება, რომ ჩამოვიდეს სამეგრელოში და პირდაპირ აგინოს მეგრელებს?

თაზო ფაცაციას ინციდენტი ყველას გვახსოვს. ბევრი აღშფოთდა მაშინ.

ფაცაციამ თავის პირად გვერდზე გაიხუმრა. რა თქმა უნდა, არასწორად, მაგრამ გვარამია ყოველ წუთს რომ უწმაწურობს, ეს არაფერია?

— ვინმე სხვას, მეგრელებისთვის ის რომ ეკადრებინა, რაც აკადრა გვარამიამ. ალბათ, დიდი ამბავი ატყდებოდა...

— ჩვენმა ტელევიზიებმა არ იმუშავეს კარგად. არც კი ვიცი, არის თუ არა საქართველოში ხალხის ტელევიზია, თუმცა ხალხმა გადაიღო ყველაფერი და კადრები არსებობს, რომ საკადრისი პასუხი გასცეს გვარამიას. უთხრეს, ვინც არის და რასაც წარმოადგენს. უბრალოდ, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ფიზიკურად არავის შეხებოდნენ.

პირადად მე, ერთმა ადამიანმა, ყველაფერი გავაკეთე, რომ აშკარა დაპირისპირებამდე არ მისულიყო საქმე.

ბატონი გიორგი გახარია გვეხვეწებოდა: ყველას აპატიეთ, არ მიაქციოთ ყურადღება. ჩვენ ვჩუმდებოდით, მაგრამ საბოლოოდ არავის არაფერს შეარჩენს სამეგრელო. ხომ გითხარით, ყველფერი გადაღებულია, სულ მალე ტელევიზიებით გამოვააშკარავებთ კადრებს.

სხვათა შორის, სადაც დაბანაკდა ნიკა გვარმაია ზუგდიდში, იქვე, ახლოს ზუგდიდის თეატრს აშენებს ბიძინა ივანიშვილი, უკან ზვიად გამსახურდიას სახელობის ბიბლიოთეკა შენდება, სადაც ბიბლიოთეკის გარდა, სამეცნიერო-კულტურული ცენტრიც იქნება. ამასაც ბიძინა ივანიშვილი და „ქართუ ჯგუფი“ აშენებს. ამ შენობაშივე იქნება ახალგაზრდული ცენტრი და მწერალთა და შემოქმედთა გაერთიანება. ასეთ რამეებს აკეთებს ეს ღვთისნიერი კაცი და უნიათოს, გამყიდველს და ათას სიბინძურეს უწოდებს ეს თვითონ ბინძური ადამიანი. თვითონ რა გაუკეთებია, ის გვითხრას. გინების და პროვოკატორობის გარდა მისი ფორპოსტიდან, დამნაშავე ტელეკომპანია „რუსთავი-2“-დან სხვა რაფერი არ ისმის.

— ბევრმა ადამიანმა მისცა ხმა სანდრა რულოვსს. რას ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი — ხელისუფლების შეცდომა თუ კიდევ რაიმე სხვა?

— არიან ადამიანები, რომლებ-

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული არეკლილი მასალები.

სამეგრელო – „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური სამარე

● სანდრა ველისაპედ რულოვსი ყველა იმ დანაშაულის თანამონაწილე და იდეური მხარდამჭერია, რომელიც მის კრიმინალ ქმარს აქვს ჩადენილი.

● „ნაცმოძრაობა“ არ არის პარტია, ის ახალი ტიპის „მხედრიონია“, გაცილებით სახიფათო და საშიში ქართული სახელმწიფოსთვის, ვიდრე მისი წინამორბედი იყო.

სამეგრელომ წელში ისე გადატეხა „ნაცმოძრაობა“, ამიერიდან მას ფეხზე დადგომა არ უწერია.

ეს გამარჯვება კიდევ იმით არის უმნიშვნელოვანესი, რომ სანდრა რულოვსის დამარცხებით, ფაქტობრივად, კიდევ უფრო გააღრმავა რღვევის და დაშლის პროცესი, როგორც „ნაცმოძრაობაში“, ასევე ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციაში.

სულ ტყუილად ინუგეშებს თავს დამარცხებული მხარე — ჩვენ მოსახლეობამ კი არ გვითხრა უარი, ხელისუფლებამ წაგვაგებინა მოგებული არჩევნებიო.

სიცრუე და დემაგოგიაა ეს — ხელისუფლებამ კი არა, პირველ ყოვლისა, სამეგრელოს მოსახლეობამ, მეგრელებმა, ჩვეულებრივმა რიგითმა მოქალაქეებმა, თავისი კუთხისა და საქართველოს პატრიოტებმა გაგცათ საკადრისი პასუხი, ყველა იმ შეურაცხყოფისთვის, ყველა იმ უბედურებისთვის, რაც თქვენ ამ კუთხეს მიაყენეთ.

დამთავრდა თქვენი ბოგინი სამეგრელში. პირსისხლიანო ნაცებო, თქვე მართლა სატანის მოციქულებო, თქვე ვათანძარებო!

ამიერიდან, სანდრა ველისაპედ რულოვსმა, მდედრობითი სქესის ამ ჰოლანდიელმა ჯაყომ, რომელმაც ქმარი გააგდო საკუთარი სახლიდან, რამდენიც უნდა იწოწიალოს შუკა-შუკა და ეზოეზო, არაფერი გამოუვა არც მას და არც მის გონებაარეულ ქმარს თუ ქმარყოფილს.

სამეგრელომ და მეგრელებმა, სამეგრელოც და მასთან ერთად მთელი საქართველოც, იმ გარდაუვალი კატასტროფისგან იხსნეს, რაც აუცილებლად მოჰყვებოდა „ნაცმოძრაობის“ გამარჯვებას ქართული სახელმწიფოსთვის გეოპოლიტიკურად სტრატეგიულ ამ რეგიონში.

საქართველო 19 მაისს დიდ განსაცდელს გადაურჩა, თუმცა ჯერ არაფერი დამთავრებულა — 19 მაისს მოპოვებულ გამარჯვებას განმტკიცება და გაძლიერება სჭირდება, ისე როგორც გაანალიზება და სწორი დასკვნების გაკეთება ჭირდება იმ შეცდომებს, რაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ამ შვიდი წლის განმავლობაში სამეგრელოსთან მიმართებაში დაუშვა, განსაკუთრებით, საკადრო პოლიტიკის მიმართულებით.

ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, უნდა გავიგოთ, რომ, სამეგრელო ფრონტისპირა რეგიონია, ის დღემდე ფრონტის წინა ხაზზე ცხოვრობს და ქართული სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ დამოკიდებულება ამ რეალობის ადექვატური უნდა იყოს.

დაბოლოს, დროა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას — მტერსაც, მოყვარესაც, პოლიტიკურ პარტიებსაც, მოღალატეებსაც, ჯაშუშებსაც, დივერსანტებსაც, რეზიდენტებსაც.

დროა, ხმამაღლა და გარკვევით ითქვას, რომ დემოკრატიასთან არაფერი აქვს საერთო იმას, რასაც „ნაცმოძრაობა“, მისი სატელიტი პარტიები და მათი ლიდერები ამ შუალედური არჩევნების დროს სამეგრელოში აკეთებდნენ, სამეგრელოს „დასაპყრობად“, რეგიონში ჩარეკილ თავისი ხუთიათასკაციან ლაშქრთან ერთად.

დროა, ხმამაღლა და გარკვევით ითქვას, რომ „ნაცმოძრაობა“ არ არის პარტია. ეს არის ახალი ტიპის „მხედრიონი“, გაცილებით სახიფათო და საშიში ქართული სახელმწიფოსთვის, ვიდრე მისი წინამორბედი.

დროა, ხმამაღლა და გარკვევით ითქვას, რომ სანდრა ველისაპედ რულოვსი ყველა იმ დანაშაულის თანამონაწილე და იდეური მხარდამჭერია, რომელიც მის კრიმინალ ქმარს აქვს ჩადენილი და მან ამისთვის პასუხი უნდა აგოს ქართული მართლმსაჯულების წინაშე.

ნაციონალებმა ღიად და დაუფარავად გამოუცხადეს ომი ქართულ სახელმწიფოს.

მათ უკვე ღიად თქვეს, რომ მორიგი სახელმწიფო გადატრიალებისთვის ამზადებენ ნიადაგს, რადგან დარწმუნდნენ, რომ ქართველი ხალხი მათ არჩევნების გზით ხელისუფლებაში არ დააბრუნებს. სახელმწიფო გადატრიალების მოსამზადებელ პლაცდარმად კი ისევ მიზანში ცუდად ამოღებულ სამეგრელოს მიიჩნევენ.

პლაცდარმისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თუ ასე გააგრძელებენ, სამეგრელო, შეიძლება, „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ სამარედ იქცეს...

„საერთო გაზეთი“

საც უკეთესი სამეგრელო უნდათ და ეს ლოგიკურია. თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც დასაქმებული იყვნენ სააკაშვილის მმართველობისას და დაკარგეს პრივილეგიები, თანამდებობები და ამის გამო არიან უკმაყოფილო. მაგალითად, ძალიან ბევრი იყო დასაქმებული თავდაცვის სიტემაში ბაჩო და დათა ახალაიების ხელმძღვანელობისას, პენიტენციარულ სამსახურში დავით ჭაკუასთან, პროკურატურაში როლანდ ახალაიასთან, ქარდავასთან და სხვებთან. ამ ადამიანებმა დაკარგეს კომფორტი. ისინი კანონის ფარგლებში მოექცნენ, მით უფრო რომ დღესაც მუშაობენ და სხვადასხვა სამსახურებში არიან, არ აქვთ უფლება ადამიანები უსამართლოდ დაიჭირონ, დასაჯონ, აწამონ. ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ 15000-ზე მეტი არის ასეთი ადამიანი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში.

არ დაგავიწყდეთ, ზუგდიდის, ხობის, სენაკის, წალენჯიხის მაცხოვრებელი ახალგაზრდების უმეტესობა სააკაშვილის მმართველობისას ძალოვან სტრუქტურებში იყვნენ დასაქმებული, როგორც პარტიული ზონდერები, ე.წ. აგენტები და სხვ.

მე, მოგეხსენებათ, წლების განმავლობაში სამეგრელოს გუბერნიის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობა მეკავა და არც ერთი შემთხვევა არ მახსოვს, ვინმე გაგვეთავისუფლებინოს პარტიული ნიშნით. ყველა დავტოვეთ, ყველა მუშაობს, ვინც შეძლო და ვინც იცოდა თავისი საქმე, თუმცა, მგონი, ეს არ იყო ეფექტური ნაბიჯი, რადგან ბევრი წინააღმდეგობა გამოიწვია ამან.ე.წ ჩუმი ნაღმები დავტოვეთ მმართველობაში, რადგან ძველი კადრები არ კარგავდნენ კავშირებს ავბედით ძალებთან, სააკაშვილთან, სხვა პოლიტიკურ ძებნილებთან და დამნაშავეებთან.

მაგალითისთვის მოვიყვან გიორგი სამუშიას, ყოფილ ზონდერს, რომელიც ადრე ძალოვან სტრუქტურებში მუშაობდა. ის სოციალური ქსელით იმუქრება — ყელს გამოგჭრით, ასე ვიზამ, ისე ვიზამო. მისი ძმა გახლავთ ჩვენი თეატრის თანამშრომელი, თუმცა ამ ადამიანს არასდროს არ უგრძვნია ჩვენგან არაფერი, არც კერძოდ ჩემგან, იმის მიუხედავად, რომ მისი ძმა ჩემს ოჯახს, ჩემს დებს და შვილებს პირდაპირ მოკვლით ემუქრება.

ჩვენ გვჯერა, რომ დამნაშავეს კანონი და სამართალი მიხედავს. პირადი ანგარიშსწორება ბნელი წარსულის გადმონაშთია.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, კოჰაბიტაცია გაგრძელდება სამეგრელოში?

— მე თუ მკითხავენ, კოჰაბიტაცია უნდა დასრულდეს.

ჩვენ ხომ ვიცით, რაც ხდებოდა წლების განმავლობაში?

ადამიანმა დამაბრალა ქალბატონის მკვლელობა. ეს იცით რას ნიშნავს?

მაგალითად, ხობში არის „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელი საკრებულოში, ქალბატონი ია ჯიშკარიანი. ეს ადამიანი, სამწუხაროდ, არის ავადმყოფი, ფსიქიურად გაუწონასწორებელი, ყველაფერს კადრულობს, მაგრამ რადგან ქალბატონია, საკადრის პასუხს ვერ ვაძლევ. კაცი რომ იყოს, ვიცი, რასაც მიიღებდა. იგივე წითლიძე, პირდაპირ ვეუბნები, რომ არის ავადმყოფი, უნიჭო, გიჟი. სხვა რა გავაკეთო, რომ გავაჩუმო?! კანონი უნდა ჩაერიოს ასეთი ადამიანების თავხედობის აღსაკვეთავად.

— იმედია, კანონის ფარგლებში მოექცევა ბოლო-ბოლო ყველა და ყველაფერი, მით უფრო, რომ ზუგდიდს ახალი მერი ეყოლება — გეგა შენგელია. მეტად კონკრეტული რომ ვიყოთ, რას უნდა ველოდეთ ახალი მერისგან?

— იშვიათად მინახავს ასეთი პატიოსანი და მართალი ადამიანი. ადამიანი, რომელიც გამიჯნულია ტყუილისგან და სიცრუისგან. არის გულღია და უბრალო. იმის მიუხედავად, რომ მას ხმა არ მისცა ზუგდიდელების გარკვეულმა ნაწილმა, ის აცხადებს, რომ იქნება ყველას მერი, ყველა ზუგდიდელის, განურჩევლად. ის გახლავთ კარგად აღზრდილი ადამიანი და თუმცა სანდრა რულოვსი და მისი მხარდამჭერები ათასნაირ სალანძღავ სიტყვას კადრულობდნენ მისი მისამართით: ბულკი, პონჩიკი და ასე შემდეგ, მაგრამ მას ერთი სიტყვაც არ დასცდენია რულოვსის სალანძღავად. მითხრა კიდევაც — ადამიანის ლანძღვა მე არ შემიძლიაო. გავაკეთებ ჩემს გასაკეთებელს და სალანძღავი ვარ თუ არა, ამას ერთ წელიწადში დაიანახავს ყველაო. ეს ადამიანი შეარჩიეს სწორედ მისი პატიოსნებიდან გამომდინარე. ის გახლავთ ბანკირი, საბანკო სისტემიდან მოვიდა, თუმცა არასდროს რაიმე გადაცდომა არ მოსვლია, არ დახარბებულა არაფერს. ყველა დაიანახავს მალე, რომ გეგა შენგელია წესიერი ადამიანია და არის საქმიანი კაცი. მისი მოთვალთვალე ვიქნებით ყველა, ჩვენ, ხალხი.

— ჩვენც ყურადღებით მივადევნებთ თვალს ზუგდიდში მიმდინარე მოვლენებს და გეგა შენგელიას საქმიანობას და გარკვეული დროის შემდეგ დავაგროვებთ კითხვებს ბატონი შენგელიასთავის.

— თქვენს გაზეთს უდიდეს პატივს ვცემ. „საერთო გაზეთმა“ დიდი წვლილი შეიტანა ამ გამარჯვებაში. პირადად მე, მზად ვარ, მოგაწოდოთ ინფორმაციები პერმანენტულად, თუნდაც ყოველ კვირა, როგორც რუბრიკა — ხმა სამეგრელოდან. მჯერა, ერთად ყოფნით, ერთიანობით, ყველა პრობლემას დავძლევთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„ლურჯი ვეშაპი“ და მდედრობითი სქესის ჯაყო ჰოლანდიიდან

ამ დღეებში სამეგრელოში ასეთ ლექსს გაიგონებდით:

მუ გოჭირ, მუქ გაღოლ,
მუშე გიდუ ჭკუა კუნტა,
კოჩიში ქუდიში მანგიორრო
დუცუ გიგორთუ სანდრაში კურთა.
ღორონთქ ვაგგანჭყორასუდო
*სქანი ქიანას ვენკოურთა!**

რა არ ვუთხარით, რა არ ვეხვეწეთ, ბევრი ვეფერეთ, ბევრი ვეჩხუბეთ, მერე ისევ დავუყვავეთ, ნამუსზე შევაგდეთ, საკუთარი კუთხის და მთლიანად ქვეყნის ბედზე ჩავაფიქრეთ, ფაქტები დავულაგეთ წინ, მაგრამ არაფერმა არ გაჭრა — ისე ჩამთავრდა არჩევნები, ვიღაც-ვიღაცები მაინც სანდრა, სანდრას გაჰკიოდნენ.

რა ჭირთ ამ ადამიანებს, ვინ დაზომბირა ასე და ვინ წაართვა განსჯის უნარი?

— რა დაგემართათ ამ მეგრელებს? სანდრას როგორ აძლევთ ხმას? — მსაყვედურობდნენ ამ დღეებში ნაცნობ-მეგობრები.

არადა, მეგრელობა, კახელობა თუ იმერლობა საერთოდ რა შუაშია, მაშინ, როცა სულ ახლახან 800 000-მა ქართველმა გრიგოლ ვაშაძეს მისცა ხმა.

იმ რვაასი ათას კაცში ყველა მეგრელი იყო?

ვაშაძე და რულოვსი განა ერთი ჯანდაბა და ერთი დოზანა არ არის?

როგორც ჩანს, სხვაგან და სხვა რამეშია საძიებელი საიდუმლო იმ უბედურებისა, რასაც მასობრივი გამოთაყვანება ჰქვია, თუმცა მასობრივ გამოთაყვანებაზე მეტად მასობრივ ღალატს უფრო ჰგავს ის, რაც დღეს საქართველოში ხდება.

კი, მაგრამ, შეიძლება ერს ამდენი მოღალატე ჰყავდეს?

ამ ადამიანების უმრავლესობა, ცხადია, თავის თავს მოღალატედ არ თვლის.

ის კი არა, ბევრ მათგანს გულწრფელად სჯერა, რომ, რასაც ისინი აკეთებენ, ქვეყნის საშველად და დასახსნელად აკეთებენ.

ეს ადამიანები ამაში დაარწმუნეს, დააჯერეს და მათაც ჰგონიათ, რომ ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის იბრძვიან და სწირავენ თავს.

ეს ყველაფერი ძალიან მაგონებს ერთ ინტერნეტ-თამაშს, რომელსაც „ლურჯი ვეშაპი“ ჰქვია.

იქაც ვიღაც უჩინარი და უხილავი მოკარნახე აჰიპნოზებს ადამიანებს, აბსოლუტურ კონტროლს ამყარებს მათ ფსიქიკაზე და თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავს იმ მომენტამდე, როცა ეს დაზომბირებული ადამიანები მზად არიან შეასრულონ მოკარნახის ბოლო მითითება — თვითმკვლელობით დაასრულონ სიცოცხლე და თანაც დაასრულონ იმ ხერხით და იმ გზით, რასაც მოკარნახე უბრძანებს.

ვინ არის ის იდუმალი მოკარნახე, ვინც თვითმკვლელობის, თვითლიკვიდაციის პროგრამა ჩაურთო სასქართველოს, რომლის მოქალაქეთა ერთი ნაწილი მზად არის, უფსკრულში დაუფიქრებლად გადაეშვას, როგორც ამას ის უხილავი მოკარნახე მოითხოვს.

უხილავიო, კი ვთქვით, მაგრამ არც ისე უხილავია ის ძალა, რომელიც ქვეყანას სუიციდისკენ უბიძგებს.

თუ ყურადღებით დააკვირდებით, ბევრგან და ბევრ რამეში დაინახავთ მის სატანისტურ სახეს, რომელიც გაფანტული და დანაწილებულია საინფორმაციო საშუალებებში, პოლიტიკურ ორგანიზაციებში, ე.წ. არასამთავრობო სექტორში, მწერლობაში, ხელოვნების სხვადასხვა დარგებში.

მას უამრავი ნიღაბი აქვს, ის უამრავ ფორმად და ნაკვთად არის დანაწევრებული, რომ მოუხელთებელი და უხილავი იყოს, მაგრამ ეს უამრავი განშტოება ბოლოს ერთ ფოკუსში იყრის თავს და დამანგრეველ ფსიქოტროპულ იარაღად იქცევა, რომელიც ადამიანებს გონებას უბინდავს და ბრბოდ აქცევს.

ყველა ერის ცხოვრებაში ყოფილა ისეთი მომენტები, როცა ერს შიზოიდური ჟინი შეიპყრობს ხოლმე და დაუოკებელი ექსტაზით იწყებს საკუთარი თავის განადგურებას.

ქართველ ერს, როგორც ჩანს, ეს საბედისწერო ჟამი უდგას და აქედან თავის დაღწევას შეიძლება დიდი მსხვერპლის გაღება დასჭირდეს.

ქართველი ერის გონიერმა, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ნაწილმა თუ მთელი თავისი ძალა და ენერგია არ მოიკრიბა უგუნურთა გამოსაფხიზლებლად, ამ ქვეყანას შეშლილები, მედროვეები, ფარისევლები და მოღალატეები დაეპატრონებიან და ისე დაანგრევენ და დააზიანებენ მას, რომ ამ ქვეყნისგან არაფერი დარჩება.

ის, რაც 19 მაისს ხდებოდა საქართველოში, უტყუარი ნიშანია ამისა, განგებისგან გამოგზავნილი მესიჯია, გაფრთხილებაა, რომელზეც დაუყოვნებლივ და სასწრაფოდ არის საჭირო რეაგირება.

●

მინდა ვკითხო მიხეილ სააკაშვილის ფანებს, რომლებიც დღეს სანდრა რულოვსს დასდევენ კუდში — სად არის თქვენი საყვარელი მიშა? ცოლი აქ არის, მაგრამ სად არის ქმარი, თქვენი კერპი და ბელადი?

სად არის და ცოლმა გააგდო სახლიდან და „ბომჟად“ და დევნილად აქცია.

ჰოლანდიელმა სანდრამ საქართველოში დაბადებული და გაზრდილი ქმარი გააგდო საქართველოდან და საქმე ისე წავიდა, რომ სააკაშვილის სამშობლოში დაბრუნების შანსი დიდად არის დამოკიდებული მისი ცოლის პოლიტიკურ წარმატებაზე და, საბოლოო ჯამში, მის ნება-სურვილზე.

ტვინფშვიტინა, სექსუალურად გაუწონასწორებელი და თავშეუკავებელი სააკაშვილისგან მრავალგზის შეურაცხყოფილმა სანდრამ შური იძია თავის მოჩუკენო ქმარზე და ისედაც ჩვარი, მთლად ჩვრად აქცია.

სააკაშვილმა იცის, რომ მისი მომავალი სანდრაზეა დამოკიდებული, ამიტომაც „ეპათხალიმება“ ეს თავმოყვარეობადაკარგული, მორალურად განადგურებული და გაჩანაგებული კაცი პოლიტიკურ თემშარაზე გავარდნილ ცოლს და მაღალფარდოვანი ეპითეტებით ამკობს მას.

— ერთი აქეთ მოიხედე შენ, ბიძინა ხარ თუ ვიღაც ხარ, შენ მოუგებ სანდრას? შენ მოუგებ სანდრას? — ასე მიმართა სააკაშვილმა შუალედური არჩევნების წინ ბიძინა ივანიშვილს.

მე ვერ მოვუგე სანდრას და შენ როგორ მოიგებო? — ეს არ უთქვამს სააკაშვილს, მაგრამ ეს ისედაც იგულისხმებოდა.

ვინ ვინ და სააკაშვილმა ხომ შესანიშნავად იცის, სინამდვილეში ვინ არის მისი ცოლი და რა ძალები დგანან ამ ვითომდა სათნო და კეთილად მომღიმარი ქალბატონის უკან.

მას ეშინია სანდრასი, ბოლომდე არ ენდობა მას, მაგრამ, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, მაინც ვერ ახერხებს მისგან თავის დაღწევას, თუმცა ბოლო დროის ამბების მიხედვით თუ დავასკვნით, სააკაშვილი უკვე შეეგუა ბედს და იმ აზრს, რომ ის სანდრას სამუდამო მძევალია.

გახსოვთ, ალბათ, თავისი პრეზიდენტობის მესამე თუ მეოთხე წელს როგორ გამოტყდა სააკაშვილი, რომ სანდრა დაჟინებით თხოვდა მას, მისთვის საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭებინა, მაგრამ სააკაშვილი ცოლის ყველა თხოვნას კატეგორიული უარით პასუხობდა.

დიახ, როგორც ვთქვით, სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის, ვინ არის და რა ძალებს ემსახურება მისი ცოლი, რომელსაც შეუძლია, ერთ წუთში გააცამტვეროს და გაანადგუროს მისი პოლიტიკური კარიერა.

სანდრა რულოვსი მდედრობითი სქესის ჰოლანდიელი ჯაყოა, რომელსაც მთელ საქართველოზე უჭირავს თვალი და მისი პოლიტიკური მიზნები და ამოცანები გაცილებით ამბიციური და მასშტაბურია, ვიდრე ეს ზუგდიდის მერობაა.

სანდრა რულოვსს ძალიან უნდოდა, საქართველოს პრეზიდენტობაზე ეყარა კენჭი, ამ საკითხის გარშემო დიდი მისვლა-მოსვლები და დიდი დისკუსიებიც იყო გაჩაღებული „ნაცმოძრაობაში“, თუმცა ჰოლანდიელი რულოვსის კანდიდატურას ბოლოს რუსი პოლიტიკოსის ვაშაძის კანდიდატურამ გადასძალა, თუმცა არაუშავს, ყველაფერი წინ არის — სანდრა რულოვსის მხრიდან, როგორც საქართველოს, ასევე უბედურ დღეზე გაჩენილ სააკაშვილს, ბევრი სიურპრიზი ელოდება წინ.

ვახტანგ ხარჩილავა

* რა გვჭირს, რა დაგვემართა,/რატომ გვაქვს მოკლე ჭკუა,/კაცის ქუდის ნაცვლად რატომ გვახურავს/თავზე სანდრას ნიფხავი?
ღმერთი არ გაგიწყრეს და შენს ქვეყანას არ უგანო!

ზუგდიდი

ზუგდიდი საქართველოს დასავლეთში, შავი ზღვიდან 35კმ-ის მოშორებით მდებარეობს. ის სამეგრელოს ადმინისტრაციული ცენტრი გახლავთ და სიდიდის მიხედვით საქართველოს ქალაქების ხუთეულში შედის.

ქალაქის სახელწოდება წარმოიშვა კოლხური სიტყვიდან „ზუგი“, რაც ნიშნავს „ბორცვს“, „გორას“; (ზუგდიდი- დიდი გორა). წერილობით წყაროებში, ზუგდიდს პირველად ბერი ეგნატაშვილი 1572 წელს გურიის მთავარ მამია გურიელსა და სამეგრელოს მთავარ გიორგი III შორის გამართულ ბრძოლასთან დაკავშირებით მოიხსენიებს.

ზუგდიდში მდებარეობს დადიანთა ცნობილი საგვარეულოს სასახლე. ამ სასახლეში ინახება ბევრი მსოფლიო მნიშვნელობის სამუზეუმო ექსპონატი და რელიგიური სიწმინდე, რომელიც ყოველწლიურად ათასობით ტურისტს იზიდავს.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა ზუგდიდი სამეგრელოს მთავართა რეზიდენციად აქცია, რასაც არქანჯელო ლამბერტის, შარდენისა და ქრისტეფორე კასტელის ცნობებიც ადასტურებს. ვახუშტი ბატონიშვილი წერდა, რომ ზუგდიდი საკმაოდ დასახლებულ ადგილს წარმოადგენდა: “დიდ ველსა ზედა არს ზუგდიდი, სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ზღუდეგოდოლიანი”.

ლევან II დადიანის ზეობის ხანაში (1634–1657 წ.წ.) ოდიშის სამთავრო დასავლეთ საქართველოს სამეფო–სამთავროებს შორის უძლიერესი იყო. ზუგდიდი კი, როგორც ამ სამთავროს სატახტო, საკმაოდ მნიშვნელოვან ქალაქად გადაიქცა.

1840 წელს სამეგრელოს სამთავროს მართვა მთავარმა ლევან V თავის ძეს, ტახტის მემკვიდრე დავით დადიანს ჩაბარა. სწორედ ამ დროს განხორციელდა ოდიშ–ლეჩხუმის სამთავროს პირველი ადმინისტრაციული დაყოფა, მან სამთავრო 8 მაზრად (მაზრას მდივანბეგი ხელმძღვანელობდა) დაყო.

ზუგდიდი ხელოსნობის მნიშვნელოვან ცენტრსაც წარმოადგენდა. მთელს საქართველოში განთქმული იყო ზუგდიდელ ოქრომჭედელთა, მეუნაგირეთა და სხვა საქმის ხელოსანთა ნამუშევრები. 1845 წლის მონაცემებით ზუგდიდში ცხოვრობდა 55 ხელოსანი. აღსანიშნავია, რომ 1840 წელს ზუგდიდში ცხოვრობდა 120 ადგილობრივი, 15 ბერძენი და 20 თურქი ვაჭარი. საშინაო ვაჭრობის საშუალო წლიური ბრუნვა ზუგდიდში 1856 წელს 630.000 მანეთს შეადგენდა.

რაც შეეხება დადიანების ცნობილ სასახლეს, ნიკო დადიანისეული სასახლე XIX ს-ის 80-იან წლებშია აგებული რუსი არქიტექტორის ლეონიდ ვასილიევის მიერ. რეზიდენცია ორსართულიანია, ამშვენებს ქვის აივანი და საქართველოში ყველაზე დიდი სამეჯლისო დარბაზი. სასახლეს ამშვენებს აივანი, რომელსაც უნიკალური, მოზაიკური ხის ჭერი აქვს. გადმოცემის მიხედვით, სამეგრელოს დედოფალს ეკატერინე ჭავჭავაძეს აივნის გასაკეთებლად ლაზეთიდან საუკეთესო ოსტატები მოუწვევია და მათთვის მანამდე არნახული არქიტექტურული ნიმუშის შექმნა დაუვალებია. ყოველი ხის დეტალი თაფლში სხვადასხვა ტემპერატურაზეა მოხარშული, რითაც მათ სხვადასხვა ფერადოვნება აქვთ მიღებული და ამიტომაც აივნის მოზაიკა უმშვენიერესია სანახავად.

მთავარმა დავით დადიანმა სასახლეში ჯერ კიდევ 1850-იან წლებში გახსნა მუზეუმი, სადაც განთავსებული იყო ანტიკურ ქალაქ არქეოპოლისის (ნოქალაქევი) არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი უნიკალური ნუმიზმატიკური მასალა, შუასაუკუნეების ევროპული საბრძოლო აღჭურვილობა, ეთნოგრაფიული და სახვითი ხელოვნების ნიმუშების დადიანებისეული კოლექცია.

მუზეუმში შეგიძლიათ იხილოთ იტალიელი მისიონერების მიერ ჩამოტანილი სიწმინდეები და მსოფლიო მნიშვნელობის სამუზეუმო ექსპონატები. მათ შორის, „ნაპოლეონის ნიღაბი“, რომელსაც 2016 წელს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა.

ცნობილია, რომ ნაპოლეონის პირადმა ექიმმა იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ მისი ნიღაბი ბრინჯაოსგან ჩამოასხა, რომელიც ზუგდიდის გარდა, ინახება საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთის მუზეუმებში.მის გარდა, ზუგდიდის მუზეუმში დაცული ნაპოლეონ ბონაპარტეს პირადი ნივთები, ნიღაბი, სურათები და წიგნები, საფრანგეთიდან დავით დადიანის ქალიშვილის — სალომეს მეუღლემ აშილ მიურატმა ჩამოიტანა.

ზუგდიდის მუზეუმის საგანძურს წარმოადგენს უდიდესი ქრისტიანული სიწმინდე — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი. კვართის საქართველოში მოხვედრის ორი ვერსია არსებობს: პირველის თანახმად, ის ჩამოიტანეს მე-8 საუკუნეში ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლიდან; მეორეს მიხედვით, კვართი ჩვენში ჩამოტანილ იქნა მე-15 საუკუნეში, კონტანტინეპოლის თურქთაგან დაპყრობის (1453 წ.) შემდეგ. იგი ჯერ ბედიის ტაძარში, შემდეგ კი ხობის ეკლესიაში დაუბრძანებიათ. 1533 წლიდან კი ლევან I დადიანს გადმოუსვენებია სამთავრო სასახლეში. წმინდა მარიამის სამოსელის გამობრძანება ყოველწლიურად აგვისტოში ხდება, დანარჩენ დროს კი ის წმინდა ქალწულის კოშკში რჩება.

ზუგდიდის მუზეუმში ღვთისმშობლის კვართის გარდა კიდევ მრავალი სიწმინდეა დაცული: წმ მარინეს მკლავი, წმ. კვირიკეს ხელის მტევანი, წმ. გიორგის ბარძაყის ძვლის ნაწილი, წმ. იოანე ნათლისმცემლის ძვლის ნაწილი. წმინდა ნაწილები მოთავსებულია ვერცხლით მოჭედილ პატარა ზომის ლუსკუმაში, რომელიც შემკობილია ძვირფასი თვლებითა და ღვთისმშობლის ოქროს რელიეფული გამოსახულებით. ლუსკუმის მხედრულ წარწერაში მოხსენიებულია სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი (1611–1657) და დედოფალი ნესტან — დარეჯანი.

სამუზეუმო კომპლექსი შედგება სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა და თავად ნიკო დადიანის სასახლეებისაგან, კარის ეკლესიისა და დადიანების მიერ გაშენებული ბოტანიკური ბაღისაგან. მუზეუმის გარშემო, 67 ჰექტარზე გადაჭიმული ბოტანიკური ბაღის გაშენების საწყის პერიოდად უნდა ჩაითვალოს სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანის დრო მე-18–ე საუკუნის ბოლო და მე-19–ე საუკუნის დასაწყისი. მთავრინა ეკატერინე ჭავჭავაძის ინიციატივით საჭირო თესლეული და ხეების ნერგები საფრანგეთის მეფის ლუი ფილიპეს ვერსალის ბაღიდან გამოიწერეს (ბაღის გაშენებას ხელმძღვანელობდა ქ. ტრიესტიდან მებაღე ჟოზეფ ბაბინი). ბაღი გარდაიქმნა ევროპული დეკორატიული ბაღის ე.წ. – ფრანგულ სიმეტრიულ სტილზე. მოეწყო პირველი სანერგე, ორანჟერეა, ჩამოყალიბდა ხელოვნური პეიზაჟები, ყვავილებისა და გაზონების ურთიერთშეხამებით.

1945 წელს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში გამოიფინა საფრანგეთიდან დაბრუნებული უნიკალური საუნჯე, მათ შორის ეკატერინე ჭავჭავაძის ცნობილი დიადემა. ფირუზებით მოჭვილ-მომინანქრებული დიადემა და საყურეები მემკვიდრეობით დარჩენია ეკატერინეს ასულის, სალომეს შვილს, ანტუანეტა მიურატს. ეს სამკაული სწორედ მისგან შეუსყიდია ექვთიმე თაყაიშვილს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმისთვის. ამ საქმეში მას დახმარებია მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის ძმა, ამიერკავკასიის ბანკის დირექტორი იასონი.

1868 წელს ზუგდიდში დაარსდა პირველი სკოლა, ამავე წელს დაიწყო ზუგდიდის თეატრალური ცხოვრებაც–ზუგდიდელმა სცენისმოყვარეებმა გამართეს პირველი წარმოდგენა. XIX საუკუნის შუა ხანებში ზუგდიდში მოღვაწეობდნენ სახელოვანი ქართველი მწერლები–დიმიტრი ყიფიანი, ანტონ ფურცელაძე, რაფიელ ერისთავი. სწორედ რაფიელ ერისთავის თაოსნობით გაშენდა ზუგდიდის ცნობილი ჭადრების ხეივანი. XIX საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XX საუკუნის დამდეგს ამშვენებდა მისი სახელოვანი შვილი — იონა მეუნარგია. რომელსაც ხშირად სტუმრობდნენ გამოჩენილი საზოგადო და კულტურის მოღვაწეები, მათ შორის ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვ. დადიანების სასახლე ამ დროსაც წარმოადგენდა განათლებისა და კულტურის მოღვაწეთა თავშესაყარს. დედოფალ ეკატერინე ჭავჭავაძის მეგობარი, ცნობილი ავსტრიელი მწერალი ქალი, შემდგომში ნობელის პრემიის ლაურეატი ბერტა კინსკი–ზუტნერი და მისი მეუღლე, მწერალი გუნდაკარ ზუტნერი თითქმის 5 წელი ცხოვრობდნენ ზუგდიდში. ისინი ფრანგ ჟურნალისტ ჟიულ მურიესთან ერთად იონა მეუნარგიას აქტიურად ეხმარებოდნენ„ ვეფხისტყაოსნის'' ნაწარმოების ფრანგულად თარგმნაში.

ზუგდიდში არსებული ტაძრებიდან გამოსარჩევია ცაიშის სამონასტრო კომპლექსი, მაცხოვრისკარის ეკლესია, კორცხელის მონასტერი, დადიანების სასახლესთან არსებული კარის ეკლესია და სხვ. ზუგდიდი ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე ის საუნივერსიტეტო ქალაქად იქცა, ქ. ზუგდიდი არის ზუგდიდ–ცაიშის ეპარქიის ცენტრი.

ნელი თორდია
571 35 36 88

უმადურობის სინდრომი

წერილი მეექვსე

ბატონო ბიძინა, თუ ამ ქვეყანაში რამე ცუდი ხდება, ყველაფერი თქვენ გბრალდებათ. თუ რამე კარგი ხდება, ისიც ცუდად ინათლება. ამას წინებზეც ვწერდი, თქვენ 2012 წლიდან მოყოლებული კეთილშობილური მიზანი გქონდათ — დარწმუნებული იყავით, ამ ქვეყნის მტრები, ანუ „ნაციონალები“ გამოსწორდებოდნენ და ახალ გარემოებაში სახელმწიფოს მშენებლობის ავანგარდში ჩადგებოდნენ. არ გამოვიდა და არც უნდა გამოსულიყო, რადგან ჩვენ ღალატი თუ ქიშპობა ოდითგან მოგვდგამს. კარგად გადახედეთ საქართველოს ისტორიას, სამი ათასი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი პერიოდი იყო გაბრწყინებული და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ დავით აღმაშენებელმა მოღალატეები სარებზე გასვა. ახლა 21-ე საუკუნეა, სარზე გასმა და თავის მოკვეთა გამორიცხულია, მაგრამ ხომ შეიძლება, უჯიშოები, ქვეყნის დამაქცევრები ზემო თაროზე არ წამოგვისვათ? რამდენიმე დღის წინ გიგი უგულავას მოვუსმინე „პალიტრის“ ეთერში... მოვუსმინე რა, შემთხვევით გადავრთე და თვალში მომხვდა, ხელებს რომ პარჭყავდა. ეს ადამიანი მხილებულია კორუფციაში, 50 მილიონის გაფლანგვა-მითვისებაში, სასამართლომ განაჩენიც გამოუტანა, სამი წელიწადი ციხეშიც იჯდა, ვადაზე ადრე გამოვიდა და ახლა აქეთ გვიკითხავს ლექციებს პატიოსნებაზე. რაც მთავარია, სულ თქვენი სახელი აკერია პირზე, ვინმეს „ტრუსიკი“ რომ გაერღვას ნაკერზე, თურმე ისიც კი თქვენი ბრალია. ნეტა ეს დუნია ისე იყოს მოწყობილი, ციხე საერთოდ არ არსებობდეს, არავისი დაჭერა არ მიხარია, მაგრამ სხვანაირადაც არ გამოდის, დღეს ბევრი ისეთი გველაპარაკება, ისეთი გვიქნევს თითს ტელევიზორიდან, კაი ხნით ოთხ კედელში რომ უნდა იყოს გამოკეტილი. სხვათა შორის, 2012-ში, როცა პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩნდით, ვინც გიცნობდათ, ყველა ამბობდა, ბიძინა ივანიშვილი ისეთი პრინციპულია, ღალატს არავის პატიობს, არც შინაურს და არც გარეულსო. შინაურებზე რა გითხრათ? ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ რომც ვიცოდე, ვერ ვიტყვი, მაგრამ გარეულებს რომ ბევრი აპატიეთ, ამას მეც ვხედავ და ხალხიც. მეტსაც გეტყვით, დღეს ისეთებმა დაიწყეს ლაპარაკი, ცოტა ხნის წინ თავებს თქვენს შინაურებად რომ წარმოადგენდნენ. უკვე არაერთხელ დავწერე უნამუსო დავით ზურაბიშვილზე, რომელსაც სული ხელახლა შთაბერეთ, უმკურნალეთ, გამოაჯანმრთელეთ და ყოველდღიურად ცილს გწამებთ. აი, ნახეთ, კიდევ რას კადრულობს:

„მე ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ პირადი ცხოვრების კადრები, რის შესახებაც ეკა ბესელიამ გახარიას ჰკითხა, ხელისუფლებამ თავად ატვირთა. 100%-ით ვარ მაგაში დარწმუნებული. ის გავრცელებულია ბიძინა ივანიშვილის პირადი დავალებით ან ყოველ შემთხვევაში მისი თანახმობით მაინც — აქ სხვა ვარიანტი არ არსებობს“.

აი, ბატონო ბიძინა, რას გაბრალებთ თქვენს მიერ „დაპაჩინკებული“ კრეტინი. შეიძლება ადამიანს უმკურნალო, ფეხზე დააყენო, გაატარ-გამოატარო, მაგრამ ტვინს, სინდისს და ნამუსს ვერაფერს მოუხერხებთ, ვერ „დაუპაჩინკებთ“. გახსოვთ, მე რომ გითხარით, ეგენი უჯიშოები არიან-მეთქი? თქვენ მიპასუხეთ, განათლებული ხალხიაო. რომელია განათლებული, ეს უნამუსო, ძმები ბერძენიშვილები, სანდრა რულოვსს რომ დაჰყვებიან კუდში, თუ ორი ქალი რომ ურტყამს საპატრიარქოს? სხვათა შორის, ერთი ქალი, თამარ კორძაია თქვენ აქციეთ ე.წ. პოლიტიკოსად, თქვენ მოიყვანეთ ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარად, მე ამ რაიონში ვცხოვრობ და საერთოდ არ მინახავს მოსახლეობასთან მოსული. იცით, მაგ ქალს სადეპუტატო მანდატი რომ ამოეწურა, რვა ათასი პასუხგაუცემელი წერილი დარჩა თავის სამაჟორიტარო ბიუროში, რომელიც წელიწადში 100 ათასი ლარით ფინანსდებოდა. რა კაია, არა? მაჟორიტარი დეპუტატი ცალკე პარლამენტიდან იკვებება, ცალკე ბიუროდან. სხვათა შორის, კარგად მახსოვს, 2012–2013 წლებში თქვენ ამბობდით, რომ თუ მოსახლეობას თავისი დეპუტატი არ მოეწონებოდა, ხელმოწერებს მოაგროვებდა და პარლამენტიდან გამოიწვევდა. თუმცა მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა და პოზიციები გაიმყარა, ეს საკითხი არავის გახსენებია. არადა, იცით, რა მაგარი იქნებოდა? დღეს ადამიანი პარლამენტში შედის ერთი პარტიის კვოტით, მერე თუ რამე ეწყინა, შეუძლია გადახტეს სხვა პარტიაში, ან კიდევ დაირქვას დამოუკიდებელი დეპუტატი. რაღა შორს წავიდე, ბოლო დროს თქვენი პარტიიდან რამდენი „დამოუკიდებელი“ იშვა? აი, აქ უნდა მქონდეს მე, როგორც ამომრჩეველს, ბერკეტი, რომ სხვაგან გადამხტარი უცებ გამოვიწვიო და დავსვა სახლში. ეგრე სად არი, ძმაო თუ დაო, მე „ქართული ოცნების“ ეგიდით აგირჩიო და შენ კიდევ პანჩური ამომარტყა? აგერ, ზვიად კვაჭანტირაძე თქვენი ხათრით ავირჩიეთ და ეხლა იძახის, დამოუკიდებელი გახლავართ, მეზობლები უკვე სხვანაირად მესალმებიანო. ისე, ამნაირ ადამიანს რომ პარლამენტში წამოასკუპებთ, არ იცით, მერე რას იზამს? შეიძლება არ იცით, რადგან თქვენ (ასე მგონია) ამ ადამიანებზე ცოტა სხვანაირი წარმოდგენა გაქვთ — გინდათ, ყველას მისცეთ შანსი, მაგრამ არ გამოდის. თქვენგან არაერთხელ მომისმენია, ყველას უნდა მივცეთ შანსიო, ყველას უნდა დავეხმაროთო, დასაკარგი ხალხი არ გვყავსო. კი, გეთანხმებით, ნამდვილად ასეა, მაგრამ რაღა სულ გაიძვერებსა და თაღლითებს უნდა მივცეთ შანსი?!

მაპატიეთ, ცოტა გავცხარდი... მას შემდეგ, რაც „რუსთავი 2“-მა ლამის ყოველი დღე „მოდელირებულ ქრონიკად“ აქცია, ხშირად ნერვები მღალატობს ხოლმე. დარწმუნებული ვარ, ქათამ გვარამიას გინება არც თქვენ გსიამოვნებთ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ნამეტან სირბილეს იჩენთ. მესმის, სჯობს შეურაცხყოფა აიტანოთ, ვიდრე შურისძიებაზე იფიქროთ. ნათქვამია, გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასაო. თუმცა აქ არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, ანუ ბუნებრივად იბადება შეკითხვა: რატომ არის ამ ქვეყანაში დამნაშავეებისთვის და თავხედებისთვის სხვა კანონი, ხოლო ჩემთვის და ჩემნაირებისთვის სხვა კანონი? ფაქტები გნებავთ? კი, ბატონო, ახლავე მოგახსენებთ: როგორ მოხდა, რომ „რუსთავი 2“-მა და ქათამმა გვარამიამ 2016 წლიდან მოყოლებული, საბიუჯეტო გადასახადი არ გადაიხადა და 20 მილიონი ლარი დააგროვა? აი, მაგალითად, მე რომ 200 ლარი ვალი დამედოს, ეგრევე ინკასოს მადებენ, ძალიანაც რომ მინდოდეს ექსპერიმენტის ჩასატარებლად, 20 მილიონს კი არა, 20 ლარს არ მაპატიებენ. გამოდის, გვარამიასთვის სხვა კანონი არსებობს, ჩემთვის — სხვა. თანაც ნახეთ მიზეზი: ქათამი იძახის, გადასახადების გადახდა იმის გამო შევწყვიტეთ, რომ ადრე სახელმწიფო უწყებებიდან რეკლამის სახით წელიწადში 300 მილიონამდე შემოგვდიოდა, ახლა კი აღარაფერი შემოგვდის და ფინანსური კრიზისი შეგვექმნაო. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, გვარამიაა თუ მიკლუხო მაკლაი, კანონი ხომ ყველასთვის ერთი უნდა იყოს და ბიუჯეტში გადასახადს ყველა იხდიდეს? თუ კრიზისზეა საუბარი, მაშინ მეც მაპატიეთ, იქნებ უკეთესი საინფორმაციო საშუალება უნდა შევქმნა? სხვათა შორის, მაქვს იდეა: დღეს საქართველოში ბიზნესის დაწყება კი არის დოკუმენტების მომზადება-რეგისტრაციის კუთხით იოლი, მაგრამ რთულია ფინანსური თვალსაზრისით. კი, ბატონო, კარგია, რომ ინდმეწარმეებს 1%-მდე შეუმცირდათ გადასახადი, მაგრამ ეს არ ეხება დამწყებ შპს-ს. მე რომ ბახტაძის ადგილზე ვიყო, დამწყებ ბიზნესს, რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 200 ათას ლარს, აუცილებლად შევუმცირებდი საშემოსავლო გადასახადს 10%-მდე. ამას გავაკეთებდი 3–2 წლის განმავლობაში და მივცემდი ცოტაოდენ შეღავათს. დავუბრუნდეთ გვარამიას თაღლითობას... ესე იგი, ტიპი იძახის, ხელისუფლებამ რეკლამა აღარ დაგვიკვეთა და ამიტომ ბიუჯეტში გადასახადს აღარ შევიტანო. ეს საკითხი სტრასბურგის სასამართლოში გავასაჩივრეო. წარმოგიდგენიათ? სად არის ამ დროს სამართალი და კანონი? სამწუხაროდ, ერთიც და მეორეც დუმს, რადგან საქართველოში ლამის ყოველ წელს არჩევნებია, ემანდ ვინმეს ხომ არ ვაწყენინებთ? არ ვარგა ეგრე, არა, ბატონო ბიძინა. იცით, ასე რა გამოდის? ვინც ატრაკებს, იმას უფრო მეტ პატივს სცემენ და აფასებენ. სხვათა შორის, გატრაკება-დაფასებაზე მე ექსპერიმენტი მაქვს ჩატარებული ჯერ კიდევ 1990-იან წლებში, როცა სტუდენტობისას გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ ვიყავი სტაჟიორად. იმ პერიოდში, როგორც ჩანს, ცოტა წავუგოიმებდი და საკუთარ თავს შთავაგონე, რომ ჩემს რაიონზე, სიღნაღზე კრიტიკული წერილი არ უნდა დამეწერა, პირიქით, უნდა მექო-მედიდებინა და მფარველიც კი ვყოფილიყავი. ხშირად ჩავდიოდი, ხან რთველი იყო, ხან ხვნა-თესვა, ხან ძროხების წველა, ხან კიდევ კომკავშირულ-ლენინური სამუშაოები. დავდიოდი სოფლებში ხან ტაქსით, ხან ნაცნობ-მეგობრების მანქანებით, ყურადღებას არავინ მაქცევდა, იბეჭდებოდა დადებითი წერილები და ყველანი, რაიკომის პირველ-მეორე-მესამე მდივნებიანად ვიყავით კმაყოფილნი. თურმე ამ იდილიას მამაჩემი შორიდან უყურებს. ერთ დღესაც დამსვა და მეუბნება: შენა, შვილო, ცოტა ხომ არ წაუდებილებო? რა იყო-მეთქი? რა იყო და ჩვენთან, კოლმეურნეობაში რაიონული გაზეთის კორესპონდენტი რომ ჩამოვა, თავზე ვევლებით, ველარ გაგვიგია, როგორ ვცეთ პატივი, დიდიან-პატარიანად ფეხის წვერებზე დავდივართ, შენ კიდე როდემდე უნდა იჩერჩეტო ტაქსებით, განა რაიკომს მანქანა გაუჭირდა, რომ ადგილამდე მაინც მიგიყვანონო? რავი, მერიდება-მეთქი. მე გასწავლიო, ერთი ამათ უპწკინე, ერთი კრიტიკული წერილი გამოუქვეყნე და ეგრევე მოვლენ აზრზეო. დავუჯერე, დავკარი ჩემს რაიონს. იმავე დღეს



8 გვ.

საქართველო უპირველეს ყოვლისა – ჯერ ქართული სახელმწიფოს ინტერესები და შემდეგ სხვა დანარჩენი

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი ДИМИТРИ ЛОРТКИПАНИДЗЕ:

— ბატონო დიმა, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ უცხო ქვეყნის ბაზების საქართველოში განთავსება სახიფათოა. თქვენი აზრით, რა ხიფათს შეიცავს ყოველივე?

— მოგეხსენებათ, სალომე ზურაბიშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში მხარი დავუჭირე და მთელი ჩემი რესურსი გამოვიყენე იმისთვის, რომ ამას სათანადო შედეგიც მოჰყოლოდა. ქალბატონი სალომე, თავის დროზე, ჩემი ლიდერი იყო, მის დიპლომატიურ წარსულს დიდ პატივს ვცემ. სალომე ზურაბიშვილმა სტერეოტიპები დაამსხვრია და ქართული რეალური პოლიტიკიდან, ეროვნული ინტერესიდან გამომდინარე არაერთი საინტერესო მესიჯი გააჟღერა. კერძოდ, პირდაპირი დიალოგის დაწყების აუცილებლობა ჟენევისა და პრაღის ფორმატების გაერთიანების გზით. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი — უცხო ქვეყნის ბაზების განთავსებისადმი დამოკიდებულება. მან თქვა, რომ ეს სერიოზული პროვოკაციების შემცველი იქნება და ქვეყნის ინტერესს არ წაადგება. ქვეყნის მიზანი არ შეიძლება იყოს ნატო ან სხვა ნებისმიერი კავშირი. ქალბატონი სალომე გამორჩეული პოლიტიკოსი და მაღალი ღირებულებების მატარებელი ადამიანია. მისი განცხადებები ე.წ. ლიბერალურ ოპოზიციას შეუფასებელი არ დარჩენია. იგი, ძალიან მძიმე ეპითეტებით შეამკეს. მათ შორის, უარყოფითად შეაფასეს მისი 9 მაისს უცნობი ჯარისკაცის საფლავზე მისვლა. სხვათა შორის, მარგველაშვილი იქ, არასდროს მისულა. ასე, რომ პრეზიდენტის სახით გვყავს გამოკვეთილი ინდივიდუალისტი, ძლიერი დიპლომატი. იმედი მაქვს სწორედ სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობის პერიოდში გადაიდგმება საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დარეგულირებისკენ პირველი ნაბიჯები.

რაც შეეხება კონკრეტულ შეკითხვას: მოგეხსენებათ, საქართველოს ხელისუფლება საკუთარი ქვეყნის ტერიტორიის ერთ მეხუთედს ვერ აკონტროლებს. ობიექტური გარემოება გახლავთ ის, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები განთავსებული არიან ცხინვალისა და სოხუმის ადმინისტრაციების გარშემო. მთელს ტერიტორიაზე — აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ასევე, სომხეთის გიუმრის ბაზიდანაც საქართველოს საჰაერო სივრცე რუსული ჰაერსაწინააღმდეგო, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებით მთლიანად ჩაკეტილია. საზოგადოებამ უკვე გაიგო რა არის შ300-ები, შ400-ები. ეს გახლავთ უნიკალური ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები, რომლის ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს. ეს არის ის სისტემები, რომლის გამოჩენის და არსებობის შემთხვევაში, კონკრეტულ ლოკაციაზე, ჰაერი გადაკეტილია. ანუ, იქ, უნებართვოდ უცხო ქვეყნის საჰაერო ლაინერები ვერ იფრენენ. ეს რას ნიშნავს? — როდესაც რუსეთს ეს პრიორიტეტი, პრივილეგია გააჩნია, ამ პირობებში ნატოს ბაზების განთავსება ეს არის პირდაპირი პროვოკაცია, რასაც შეიძლება საქართველოს მშვიდობიანი მოსახლეობის ინტერესი შეეწიროს. ავად თუ კარგად, მაგრამ ქვეყანაში ერთადერთი რაც გაგვაჩნია მშვიდობაა, რაც საშუალებას იძლევა მომავალი თაობები იბადებოდნენ და განვითარების იმედი გააჩნდეთ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკა სტაგნაციას განიცდის, განვითარების დონეები სახარბიელო არ არის, იმედი იმისა, რომ ქვეყანა გადარჩება, მას შემდეგ რაც ტერიტორიული მთლიანობის საკითხი აღდგება, დიდია. რამ შეიძლება ერთხელ და სამუდამოდ ეს იმედი დაასამაროს? — რა თქმა უნდა, სამხედრო კონფრონტაციამ, იმ შემთხვევაში, თუკი საქართველო ზესახელმწიფოთა დაპირისპირების პოლიგონი გახდება. როდესაც ჰაერს რუსეთის ფედერაცია აკონტროლებს და ამ დროს გვეუბნებიან: ხმელეთზე აშშ-ს სამხედრო ბაზა უნდა განლაგდესო, ეს უკვე ნიშნავს, რომ კონფრონტაცია დაწყებულია და ცივი დაპირისპირება ხვალ-ზეგ აუცილებლად გადაიზრდება ცხელში. აი, სწორედ ასეთი პრაგმატული ინტერესიდან გამოდის დიპლომატი, პოლიტიკოსი, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც არ ერიდება მისი მისამართით ისრების სწოლას, პასკვილების წერას და ღიად აცხადებს: საქართველო უპირველეს ყოვლისა — ჯერ ქართული ინტერესი და შემდეგ სხვა დანარჩენი. მისი განცხადებიდან ეს კონტექსტი ამოვიკითხე. რეალობაც ასე გამოიყურება და ამაში გასაკვირი არაფერია. საკუთარ ქვეყანაზე შეყვარებული ადამიანი სწორედ ასეთ განცხადებას გააკეთებდა. ჩვენ, სხვა, პროვოკაციული განცხადებებიც გვახსოვს. გაგახსენებთ, როდესაც ირაკლი ალასანია თავდაცვის მინისტრი იყო, მან გააკეთა განცხადება: პირველ რიგში, საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები სჭირდებაო. იმ პერიოდში საქართველოში ინგლისის საგარეო საქმეთ მინისტრი ჩამოვიდა, ჟურნალისტებმა ალასანიას მიერ გაკეთებულ განცხადებაზე კითხვა დაუსვეს, თუმცა, მან კომენტარზე უარი განაცხადა, ამაზე პასუხი უხერხულად მიიჩნია. ანუ, დასავლეთელი პარტნიორები ჩვენს ქვეყანასთან მიმართებაში ნებისმიერი ტიპის სამხედრო კონფრონტაციის გამომწვევი მიზეზებთან დაკავშირებით მეტ სიფრთხილეს იჩენენ, ვიდრე თავად ჩვენ. რა უფლება გვაქვს, ჩვენს ეროვნულ დონეზე, პოლიტიკურ წრეებში, საჯაროდ ასეთი ტიპის განცხადებებს ვაკეთებდეთ?! ეს ხომ პირდაპირი პროვოკაციაა. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ 10 წელი გავიდა, მაგრამ საკითხის მოსაგვარებლად ერთი ნაბიჯიც კი არ გადადგმულა. რუსეთის მიერ ექვსპუნქტიანი შეთანხმება არ სრულდება, არადა, დასავლეთს გარკვეული ტიპის ბერკეტები გააჩნია. ჰააგა დაგვპირდა, რომ აგვისტოს მოვლენებს მიეცემა ის შეფასება, რასაც საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე გამოიყენებს, სინამდვილეში, ეს ასე არ მოხდა. დასავლეთს თავისი პრობლემები, პრაგმატული ინტერესი აქვს, მათ შორის, ევროპის წამყვან სახელმწიფოებს — საფრანგეთს და გერმანიას რუსეთთან ურთიერთობის კონტექსტში პირდაპირი ეკონომიკური ინტერესები აქვთ. მეტსაც გეტყვით: რუსეთი, ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით, ევროკავშირში გაცილებით დიდი დოზით არის შესული, ვიდრე საქართველო თავისი მწირი პოლიტიკური ინტერესებით. აქედან გამომდინარე, ჩვენ რუსეთს არ უნდა განვიხილავდეთ როგორც ევროკავშირიდან გადინებულ საერთაშორისო სამართლის სუბიექტს. მას საკმაოდ დიდი ბერკეტებიც გააჩნია, გავლენებიც და ლობიც ჰყავს როგორც ევროპის, ისე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ხელისუფლებებთან ურთიერთობის კონტექსტში. მაგალითად, ამაზე მეტყველებს სულ ახლახან, მაიკ პომპეოსა და ვლადიმერ პუტინის სოჭში შეხვედრა. ვენესუელიდან უკვე დაწყებულია რუსული ნავთობგადამამუშავებელი პლატფორმების დაშლა და მისი გამოტანა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ გარკვეული პოლიტიკური ვაჭრობა დაწყებულიც არის და იგი დამაგვირგვინებელ ფაზაში შედის. როგორც ჩანს, უსაფრთხოების სამკუთხედი ახლო აღმოსავლეთში რუსეთის, თურქეთისა და ირანის მონაწილეობით, გადაიხედება. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სპარსეთის ყურეში ვითარება ძალიან დაიძაბა და იქ, აშშ-ს სამხედრო საზღვაო ფლოტია შესული. ირანმა უკვე აღმართა ბალისტიკური რაკეტები, გამოცხადებულია უმაღლესი დონის სამხედრო საომარი მზაობა. ეს ყველაფერი საქართველოს საზღვრებთან ძალიან ახლოს ხდება. როგორც ჩანს, ამ პროცესში ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს. სალომე ზურაბიშვილი ირანისტია და მან ძალიან კარგად უწყის რა ხდება ირანში. მისი განცახდება მნიშვნელოვანია. მინდა მჯეროდეს, რომ საქართველოში მყოფი პრაგმატული წრეები, მათ შორის, ლიბერალური ოპოზიციის წიაღში არსებულ მკვლევარებს ვგულისხმობ, სწორად შეაფასებენ მოვლენებს, როცა დაინახავენ: რამხელა ესკალაციის წინაშე დგას მსოფლიო ახლო აღმოსავლეთის ამ რეგიონში, რაც უცილობლად შეეხება საქართველოს ინტერესებსაც. ერთი ნაპერწკალი თუ გავარდა, მთლიანი დენთის კასრი აელვარდება. აქედან გამომდინარე, რუსეთთან დაახლოების პროცესს ალტერნატივა არ გააჩნია. მოგეხსენებათ, რუსეთთან სავაჭრო ეკონომიკური ბრუნვა კიდევ უფრო იზრდება, რაც დიდი ხანია მილიარდ 350 მილიონ დოლარს გადასცდა, ბოლო სამი თვის მანძილზე ტურისტების შემოდინება 26 პროცენტით გაიზარდა, ასევე, ძალიან გაიზარდა რუსეთის მხრიდან ბიზნესების გახსნის რეგისტრაციის მაჩვენებელი. დღეს, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ უძრავი ქონების შეძენის მაჩვენებელში რუსეთის მოქალაქეების წილი 53%-ია. ეს სერიოზული ციფრია. ასე, რომ პროცესები ვითარდება, ყველაფერი ზიარი ჭურჭლის პრინციპით ხდება — სადაც არის ცუდი, იქვეა — კარგიც. არ შეიძლება მუდმივი შეძახილი: არაფერი გვეშველებაო. ყველაფერი გვეშველება თუ სწორი, გამჭრიახი პოლიტიკა იქნება გატარებული. ასეთი შუქურა ხელისუფლებას პრეზიდენტის სახით ჰყავს.

— ბატონო დიმა საუბარი დაიწყო ნეიტრალიტეტზე. ეს რამდენად არის ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლის საშუალება?

— არსებობს სამხედრო პოლიტიკური ნეიტრალიტეტის ცნება და მიუმხრომლობის სტატუსი, რომელიც სამხედრო ბლოკში არგაერთიანების პირობის აღიარებას გულისხმობს. მიუმხრომლობის სტატუსი, რა თქმა უნდა, გამომდინარეობს სუვერენული სახელმწიფოს შიდა უფლებიდან გამომდინარე და იგი ცალმხრივად აცხადებს, რომ არ მიუერთდება არცერთ ბლოკს, თუმცა, სამხედრო პრიორიტეტის თვალსაზრისით, ითანამშრომლებს ამა თუ იმ სახელმწიფოსთან გარკვეული მიზნებიდან გამომდინარე, მაგრამ არ გახდება რომელიმ მათგანის წევრი. ასეთი სტატუსით სარგებლობს ჩინეთი. არსებობს სამხედრო პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, რომლის აღიარება აღარ არის მხოლოდ ერთი სუვერენული სახელმწიფოს ნება და სურვილი. ასეთი აქტი უნდა განახორციელოს გაეროს უშიშროების საბჭოს ორმა სახელმწიფომ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. თქვენ იცით, რომ 2016 წელს არჩევნებში ვიღებდი მონაწილეობას. მაშინ „დემოკრატიული მოძრაობა“ ღიად ვუჭერდით მხარს საქართველოში უბლოკო სტატუსს. 2017 წელს უშუალოდ ჩემი მონაწილეობით მოხდა დებულებების წარდგენა უბლოკო სტატუსთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციის მეშვიდე თავში დასამატებლად. ღიად ვაცხადებდით: საქართველო არ უნდა ყოფილიყო არცერთი სამ-

8 გვ.

უმადურობის სინდრომი

← 6 გვ.

გაისმა რედაქციაში ზარი (მაშინ მობილურები არ იყო), რაიკომის პირველი მდივანი რეკავდა: რა მოხდა, ბიჭო, რატომ გვირტყამ, ჩვენი გაზრდილი არ ხარო? რა ვიცი, ბატონო იმანო, დარღვევა იყო ამა და ამ კოლმეურნეობაში, რა უნდა მექნა-მეთქი? ამის შემდეგ, რა დროსაც არ უნდა ჩავსულიყავი სიღნაღში, შავი გაზიმზიმებული „ვოლგა“ ყოველთვის მხვდებოდა რაიკომის წინ. ნუ, ეხლა რესტორნებზე ხომ ლაპარაკიც არ ღირდა. მეტიც, ერთხელ რაიკომის მდივანს უთქვამს ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარისთვის, მაგ კაცს საკადრისი პატივი ეცითო. ამან კიდე თავისებურად მცა პატივი, მომიტანა „ბარტავოი“ მანქანით საზამთრო და ეზოში ჩამომიცალა. ვეხვეწები, არ

მინდა, ჩემიც მილპება-მეთქი (იმ პერიოდში მამაჩემსაც მოჰყავდა საზამთრო), მაგრამ ვინ მომისმინა? ახალი წელი ისე არ ჩაივლიდა, რომელიმე კოლმეურნეობის თავმჯდომარე რომ არ დამდგომოდა „ჟიგულით“. მოვიდოდნენ, დააპიპინებდნენ, „ბაგაჟნიკს“ ახდიდნენ და იწყებდნენ: აი, ძმაო, ერთი „მეშოკი“ ლობიო, ჩვენი ხელით არი გარჩეული... აგე, ინდაური, საკუთარი ხელით გავპუტეთ... აგე, დედლები, შოთი პურები... აგე, 20-ლიტრიანი, საკუთარი ხელით დავწურეთ... რამდენიმე გავაგდე, რამდენიმეს დავემალე... ერთხელ ცდუნებას ვეღარ გავუძელ და... ისე, ძაან გემრიელი კი იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარის ხელით გარჩეული ლობიო და გაპუტული ინდაური. ისემც რა ვუთხარი იმათ, თუ ცოცხლები არიან, რომ საკუთარი ხელით ლობიოს არჩევდნენ. ერთხელ კი ვუსაყვედურე მამაჩემს, რა გინდოდა, დავდიოდი ჩემთვის წყნარად ტაქსით-მეთქი. მან თითი საფეთქელთან მიიდო და მითხრა – ეხლა მთლად დებილი ნუ იქნები, ცოტა გამაიჩირჩნეო. არ ვიცი, გამოვიჩირჩნე თუ არა, ბატონო ბიძინა, მაგრამ იმას კი ვხვდები, რომ ვინც ატრაკებს, თუნდაც ტყუილად, ის უფრო დაფასებულია. თქვენ საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ბრძანეთ, ცოტაც მაცალეთ, ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევაო. ყველას და ყველაფერს კი დაერქვა თავისი სახელი, ბევრისა ისედაც ვიცოდით, მაგრამ რა? ეს სახელდარქმეული ქაჯები ისევ თავისუფლად დანავარდობენ და მთელ ქვეყანას აწუხებენ. დიახ, ისინი 7 წლის განმავლობაში ატრაკებენ, გადასახადებს არ იხდიან, კაი მაყუთსაც აკეთებენ, შავი ფულითაც იკვებებიან და არიან ყველაზე მეტად პატივდებულნი. ბატონო ბიძინა, მსგავსი მაგალითები ძალიან ბევრია. ახლა გიყვებით პრობლემებზე და თან მეუხერხულება, რატომ უნდა იფიქროთ ყველაფერზე, ყველა წვრილმანსა თუ მსხვილმანზე თქვენ? საქმე საქმეზე რომ მიდგება ხოლმე, ამ ქვეყანაში ყველა გენიოსია, ყველა ყველაფრის ექსპერტია. თქვენ ერთხელ ისიც მითხარით, საქართველოში საზოგადოების დიდმა ნაწილმა ანალიზის უნარი დაკარგა და როგორმე უნდა დავუბრუნოთო. რა დავუბრუნოთ, როგორ დავუბრუნოთ? როდესაც ზრდასრულმა ადამიანმა არ იცის, რომ მანქანიდან „ბიჩოკის“ სროლა და კორპუსის ზედა სართულიდან ნაგავით სავსე ცელოფანის პარკის გადმოგდება არ შეიძლება, როგორ შეიძლება, მას რამე დავუბრუნოთ? 1990-იან წლებში აკაკი ბაქრაძემ თქვა, სანამ საქართველოში რამდენიმე თაობა არ მოკვდება, მანამდე არაფერი გვეშველებაო. მაშინ ასეთი გაბედული რამის თქმა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, ბევრმა იუკადრისა, ბევრი აღშფოთდა კიდეც, ერთი ამბავი ატეხეს, მეც არ მომეწონა, მაგრამ დღეს უკვე ვხვდები, სიმართლე უთქვამს. სამწუხაროდ, ჩვენში არსებობს საზოგადოების ნაწილი, რომელსაც ვერაფერს შეაგნებინებ. როდესაც აკაკი ბაქრაძის ნათქვამს ვიხსენებ, არ ვგულისხმობ (არც ის გულისხმობდა), რომ ჩვენ საზოგადოების შეუგნებელი ნაწილი ან უნდა გავჟლიტოთ, ან კიდევ გავრიყოთ, უბრალოდ ყველაფერი დროზეა დამოკიდებული, დრო თავისას იზამს. თუმცა არსებობს ერთი დიდი საშიშროებაც – შეუგნებელნი აუცილებლად გაზრდიან შეუგნებელ შვილებს. აი, აქ კი სხვა რამეა მოსაფიქრებელი.

პატივისცემით,
გელა ზედელაშვილი

← 7 გვ.

ხედრო პოლიტიკური ალიანსის წევრი. უბლოკო სტატუსი — ეს იქნებოდა ჟანგბადი საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პოლიტიკური ფასის განსაზღვრისთვის. ეს ინიციატივა სხვა პოლიტიკური ძალების მიერ მხარდაუჭერელი დარჩა. დღეს, სამი წლის მერე ეს ინიციატივა „პატრიოტთა ალიანსმა“ გააჟღერა. ანუ, მიუღებლობის სტატუსი, სამხედრო ბლოკზე უარის თქმა. საქართველო არ უნდა გახდეს ნატოს წევრი. ეს ქართული ინტერესია და არა რუსული, როგორც აქ, მავანი ნათლავს. კითხვები რჩება: ადრე რატომ არ დაუჭირა ამ ინიციატივას მხარი ირმა ინაშვილმა?! მაგრამ სჯობს გვიან ვიდრე არასდროს. ასეთი ინიციატივის არსებობას დიდ პოლიტიკურ შინაარს ვანიჭებ. ასეთი აქტი განიხილება არა მხოლოდ პროქართულ ოპოზიციურ სპექტრში, არამედ მსჯელობა სხვაგანაც მიმდინარეობს. შეიქმნა უნიკალური ფორმატი ე.წ. სამკუთხედი, რომელშიც რუსული, ქართული და ამერიკული მხარე მონაწილეობს. ეს არის ფორმატი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, მეცნიერულ დონეზე, საქართველოს შემდგომი განვითარებისა და სტატუსის განსაზღვრა, ვგულისხმობ, დაკარგული ტერიტორიების შემდგომ ბედს. რუსულ მხარეს წარმოადგენს პროფესორი სუსლოვი, ქართულ მხარეს — თორნიკე შარაშენიძე, ბათუ ქუთელია, გოკა სეფერთელაძე, აშშ-ს წარმოადგენს — პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ასევე, კონგრესიდან სათანადო პირები. მგონია, ასეთი ფორმატი ძალიან სერიოზული ნაბიჯი იქნება სამომავლოდ ოსეთთან დაახლოების გზაზე. ვგულისხმობ, ქართულ-ოსურ ურთიერთობებს — რუსეთის მიერ ცხინვალისა და სოხუმის დამოუკიდებელ რეგიონებად აღიარების შემდგომი პერსპექტივის შეჩერების ანუ, აღიარების უკან გაწვევის პოლიტიკას. ვინაიდან, თუკი საქართველო დიდ ევრაზიულ, ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ კავშირს შორის მყარი ხიდის ფუნქციის მატარებელი იქნება, ამ შემთხვევაში, საქართველომ შესაძლოა მიიღოს ახალი შვეიცარიის კონფედერაციული მოწყობის მოდელთან დაკავშირებული წინადადება, რაც სერიოზულ პერსპექტივას გააჩენს ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე. ასეთი პერსპექტივის გაჩენას აშშ და რუსეთი მხარს თუ დაუჭერს, ასევე ჩინეთი, მართლაც შესაძლებელია ამიერკავკასია ძალიან ძლიერ განვითარებულ რეგიონად



საქართველო უპირველეს ყოვლისა – ჯერ ქართული სახელმწიფოს ინტერესები და შემდეგ სხვა დანარჩენი

ჩამოყალიბდეს, საქართველომ კი თავისი ისტორიული მისია დაიბრუნოს — გახდეს ფინანსური ჰაბი, ძირითადი ტვირთების გადაზიდვის ცენტრი და მთლიანად აღიდგინოს აბრეშუმის გზის სტრატეგიული ფუნქცია. მით უმეტეს, თუ საუბარი იქნება იმაზე, რომ საქართველო იქნება უბლოკო სტატუსის მატარებელი ქვეყანა და ღრმაწყლოვანი პორტი თუ სხვა ობიექტები არ იქნება გამოყენებული სამხედრო მიზნებისთვის, არამედ მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებისთვის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, საქართველოს განვითარების პროცესი შეუქცევადი იქნება და იგი გახდება ყველაზე წარმატებული სახელმწიფო რეგიონის მასშტაბით. თუმცა, ეს შეთანხმების საგანია, ვინაიდან დღევანდელ თანამედროვე მსოფლიოში შეუძლებელია სუვერენიტეტი განხილულ იქნეს გეოპოლიტიკურ ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის გარეშე. ამ პერსპექტივას ვხედავ.

— რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების საკითხი ახსენეთ. რა კეთდება ამისთვის? ?

— ნატოს აღმოსავლეთით განვითარება რუსეთმა ძალიან მწვავე გამოწვევად მიიღო, უკრაინაში განვითარებული მოვლენები სწორედ ამის დასტურია. უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი მძიმე დარტყმის ქვეშ დადგა. ეს პროცესი კიდევ უფრო გამწვავდება, თუკი უკრაინისა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის საერთო ენა არ გამოიძებნა. ასეთ დროს მას არაფერი დარჩენია თუარა ის, რომ აამოქმედოს თავისი სამხედრო მანქანა და მეტი სამხედრო ექსპანსიურობით გამოირჩეოდეს სამეზობლო პოლიტიკაში. რამ უნდა დააბალანსოს ასეთი ექსპანსიურობა თუ არა იმ პრაგმატულმა მოლაპარაკებებმა, რამაც უნდა უზრუნველყოს რუსული ინტერესების გატარება გარკვეულ რეგიონებში, მათ შორის, ახლო აღმოსავლეთში. მოგეხსენებათ, რუსეთმა ჩააბარა ტესტი იმ შესაძლებლობებზე, რომელიც საკუთარი ინტერესების დაცვას გულისხმობს შორეულ ბუფერში. მან, სირია სწორედ ასეთ ბუფერად აღიქვა და შეძლო თავისი ინტერესების დაცვა. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მან ძალიან მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციების ჩატარება უზრუნველყო. თუ რუსეთმა შორეულ ბუფერში ასეთი ინტერესების დაცვა შეძლო, ბუნებრივია, ახლო ბუფერში საკუთარ საზღვრებთან 800 კილომეტრიან მონაკვეთში, არცერთი ქვეყნის სასარგებლოდ, რაიმე ტიპის ინტერესს არ დათმობს. ის თვლის, რომ ამიერკავკასია არ უნდა იყოს ნატოს ბაზების რეგიონი, არამედ მისი მხრიდან კონტროლირებადი ტერიტორია. რუსეთი ახორციელებს კიდეც ცხინვალისა და სოხუმის, ასევე, სომხეთში განთავსებული სამხედრო ბაზების მეშვეობით, კონტროლს. აქედან გამომდინარე, ჩვენ, ვერ დაველოდებით იმ დროს, როდესაც რუსეთმა შეიძლება დაშლა დაიწყოს და კრიზისებსა და გამოწვევებს ვერ გაუძლოს. რუსეთი არის აქლემი, რომელიც ისე არ დავარდება, რომ ვირის საპალნე ვერ ზიდოს. მას ყოველთვის ექნება რესურსი, რათა საკუთარი ინტერესები დაიცვას, მით უმეტეს, საკუთარ საზღვრებთან. ამით სულაც არ ვამბობ, რომ დასავლეთთან თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობას უნდა გავექცეთ, პირიქით, უნდა განვაცხადოთ: საქართველო არ შეიძლება მხოლოდ ერთი პოლუსისკენ იყოს გადახრილი. აქედან გამომდინარე საქართველოს ინტერესია, პირველ რიგში, კონფლიქტში მყოფ სახელმწიფოსთან ურთიერთობების დარეგულირება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

გზა თბილისიდან სოხუმამდე, სამეგრელოზე გადის!

გვესაუბრება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ბატონი ზურაბ ხონელიძე:

— ბატონო ზურაბ, თითქმის, ორი წელია სოხუმის უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე ხართ. ამ უმაღლეს სასწავლებელს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. გვითხარით, მისი მთავარი მიზანი რა არის?

— ჩვენი უნივერსიტეტის მიზანია ქართულ და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება, მაგრამ ერთი რამ უნდა ვიცოდეთ — აფხაზეთის თემის გვერდის ავლით ვერანაირი ინტეგრირება ვერ მოხდება. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი სასწავლებლების რექტორების დიდ ნაწილს ვიცნობ, მათთან ვმეგობრობ, თუმცა ჩვენ არცერთი უმაღლესი სასწავლებლის კონკურენტი არ ვართ. მინდა, არც მათ განგვიხილონ კონკურენტებად, რადგან ჩვენი მისიიდან გამომდინარე, თემატიკა, რაც სოხუმის უნივერსიტეტს აქვს, სხვა უმაღლესი სასწავლებლებისგან აბსოლუტურად განსხვავებულია.

— რას გულისხმობთ?

— მოგახსენებთ. როგორც იცით, ეს უნივერსიტეტი სოხუმში არსებული აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაწილია. როგორი იქნება დროთა განმავლობაში თბილისში არსებული სოხუმის უნივერსიტეტი, ეს მნიშვნელოვნად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ აღგვიქვამს ჩვენ აფხაზეთი, მისთვის რამდენად მიმზიდველი ვიქნებით. ამ უნივერსიტეტისადმი დამოკიდებულება დღევანდელ ხელისუფლებასაც გათავისებული, გააზრებული აქვს. საყურადღებოა ერთი გარემოება: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი დამოკიდებულება ეს გახლავთ აფხაზეთის პრობლემატიკისადმი დამოკიდებულება. უნივერსიტეტი მზად არის საკუთარ თავზე აიღოს ყველა ის მტკივნეული პრობლემური საკითხი, რაც აფხაზეთს, ჩვენი ქვეყნის მთლიანობას, ერთიანობას, მისი მომავლის უზრუნველყოფას, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირებას უკავშირდება. რაც ყველაზე მთავარია, მზად ვართ, აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენის მიმართულებით ვიმუშაოთ. ანუ, ჩემი დიდი სურვილია, სოხუმის უნივერსიტეტი გახდეს ხიდი ამ ორ უნივერსიტეტს შორის, რომლებიც ერთი ფესვიდანაა წამოსული. ეს პროცესი უკვე დაწებულია.

— ბატონო, ზურაბ, გვითხარით, მაინც სად დევს აფხაზეთის პრობლემის გასაღები?

— მოგახსენებთ. ჩვენ გეო-პოლიტიკურ ცენტრად რამდენიმე სახელმწიფოს დედაქალაქს ვასახელებთ-ხოლმე. ეს არასწორი მიდგომაა. გასაღები ჩვენში, უფრო კონკრეტულად აფხაზეთში დევს. აქვე, ერთ მნიშვნელოვან რამესაც გეტყვით: გასაღები აფხაზეთში დევს, მაგრამ გზა — თბილისიდან – სოხუმამდე, სამეგრელოზე გადის. სამეგრელო მრავალი კუთხით, უმნიშვნელოვანესი რეგიონია. თუნდაც შემდეგი კუთხით მას უდიდესი როლის შესრულება შეუძლია: როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მინდა, აფხაზეთის უნივერსიტეტთან დაახლოების პროცესი დაიწყოს. ანუ, ჩვენ აფხაზეთისკენ დავიძრათ ისე, რომ კერა შევინარჩუნოთ. აბა, დავფიქრდეთ: სად შეიძლება მაქსიმალურად ჩვენი დაახლოება, ადმინისტრაციულ საზღვრამდე ხომ. აუცილებლად მიმაჩნია საზღვართან ზუგდიდში გაჩნდეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქოლგა, რითაც ჩვენი აფხაზი ძმების ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში შემოყვანა გაცილებით უფრო ადვილი იქნება. აფხაზი სტუდენტის, მასწავლებლის თბილისში ინტეგრირება უფრო რთული პროცესია, ვიდრე საქართველოს იმ ნაწილთან, რომელიც მას ესაზღვრება — სამეგრელოსთან. ასე, რომ სამეგრელოს ჩვენი ძმების აფხაზების დაბრუნებაში გადამწყვეტი როლი აქვს.

— ბატონო ზურაბ, რა სიახლეებია სოხუმის უნივერსიტეტში?

— მოგახსენებთ. როგორც იცით, გაეროს მოწონებული აქვს სამეცნიერო დიპლომატია. წინა შეხვედრისას „საერთო გაზეთთან“ ინტერვიუში აღვნიშნე, რომ მინდოდა ახალი მიმართულება გამეჩინა — საუნივერსიტეტო დიპლომატია — სამშვიდობო ენა. სხვა ალტერნატივა უბრალოდ, არ გვაქვს. როგორც მოგეხსენე-

ბათ, ჩვენი ქვეყანა კონფლიქტის მონაწილე სახელმწიფოა იმიტომ, რომ იგი არა ჩაკეტილი, არამედ ერთიანი კავკასიური სოციო-კულტურული სივრცის შემადგენელი ნაწილია. ამ რეგიონში უამრავი ქვეყნის ინტერესებია გადაჯაჭვული, აქ, ყველა ტიპის და სახის კონფლიქტია. უნივერსიტეტი თავისი ქვეყნის ბედის თანაზიარია. როგორც ქვეყნის ფუნქცია გადის რეგიონზე, რაც ავტომატურად საერთაშორისო ფუნქციაა, ასევე, უნივერსიტეტის საერთაშორისო ფუნქციაც რეგიონზე გადის. ამიტომაც მინდოდა არსებული შიდა და გარე რესურსების მობილიზებით უნივერსიტეტი რეგიონში სამეცნიერო კვლევით-საგანმანათლებლო ცენტრად, საუნივერსიტეტო ჰაბად მექცია. საბედნიეროდ, დღეს ჩვენ უკვე შევიმუშავეთ საერთაშორისო ურთიერთობების ახალი ფორმა, დიპლომატიის ახალი სახეობა — „საუნივერსიტეტო დიპლომატია“. მოგახსენებთ, უფრო ზუსტად რას ვგულისხმობ ამ ტერმინში? — „საუნივერსიტეტო დიპლომატია“ ისეთ უმნიშვნელოვანეს კატეგორიებს უკავშირდება, როგორიცაა „უნივერსიტეტი“ და „დიპლომატია“. მათი ორგანული შერწყმით სრულიად ახალი ფენომენი ყალიბდება. იგი თავის არსში მოიცავს პრობლემათა გადაჭრისა და თვითრეგულირების დღემდე ჯერ კიდევ გამოუყენებელ, აუმოქმედებელ უნიკალურ შესაძლებლობებს.

ერთი რამ ფაქტია: აფხაზები და ქართველები მუდამ ერთი მიწის შვილები იყვნენ და მხოლოდ ქართველია ის ერი, რომელსაც აფხაზეთში გაუცხოება არ აქვს — აფხაზეთში აფხაზები ქართველებთან ერთად ცხოვრობენ. „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ ფენომენმა პასუხი უნდა გასცეს მთავარ კითხვას: სად არის ბალანსი ქართველებისა და აფხაზების ინტერესებს შორის? რამდენად არის შესაძლებელი აფხაზისთვის დღევანდელ სამოქმედო სივრცეში აფხაზური კულტურის ეროვნული იდენტობის შენარჩუნება მის მოჩვენებით დამოუკიდებლობასთან. მით უფრო, რამდენად კავშირშია პირობითი, ე.წ. დამოუკიდებლობა რეალურ თავისუფლებასთან? რამდენად არის კვდომისკენ მიდრეკილი აფხაზი ერის ერთადერთი ხსნა — სასიცოცხლო სივრცის გაფართოვება და სამოქმედო არეალის გაზრდა? ვგულისხმობ, ისტორიულად არსებულ — ქართულ-აფხაზური ბუნებრივი საცხოვრისის იმ სივრცეში რეინტეგრაციას, სადაც აღარ იარსებებენ დაყოფისა და დაპირისპირების ხაზები და მის ცივილიზებულ სამყაროს ნაწილად გარდაქმნას — ქართველებთან ერთად, რაც ერთიანი, ეფექტიანი და სამართლიანი სახელმწიფოს შექმნის საფუძველი იქნება. ასე, რომ „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ ეგიდით შექმნილი ფორმატი, ორი ყველაზე ახლობელი ერის წარმოამდგენლებს დაგვეხმარება იმის გარკვევაში — თუ რა გვჭირს, რა სენით ვართ შეპყრობილნი, დაავადებულნი? გამოსავალი არა ჩვენგან შორს — მიუწვდომელ წიაღში, არამედ ორმა ძმამ — ქართველმა და აფხაზმა, შუამავლების გარეშე, საკუთარი ჯანსაღი წარმოდგენებისა და რეალობის შესაბამისობაში უნდა ვეძებოთ.

აფხაზეთის პრობლემისადმი დამოკიდებულება — ეს არის დამოკიდებულება ერთიანი ქართული სახელმწიფოსადმი. ცხადია, უნივერსიტეტის წარმატება ქართული სახელმწიფოს წარმატება იქნება. ევროპულ არჩევანთან ერთად, რეალური, უმოკლესი გზა არის ვემსახუროთ სამშობლოს, მის ერთიანობას, დავიცვათ ჩვენი — ქართველებისა და აფხაზების ეროვნული თვითმყობადობა, იდენტობა. ეს გზა საუნივერსიტეტო დიპლომატიის პრინციპების დამკვიდრებაზე გადის. ღრმად მწამს, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სწორედ ის კერაა, რომელიც ამთლიანებს წარსულს, აწმოსა და მომავალს. მას ესმის სამშობლოს ხმა, მასთან ვალშია და მზად არის საზოგადოების, ხელისუფლებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან კეთილი ნების გამოჩენის შემთხვევაში, აფხაზეთის უნივერსიტეტთან ერთად ისეთი მოდელის შექმნას ემსახუროს, რომელიც საყოველთაო მშვიდობას, კონფლიქტების რეგულირებას უზრუნველყოფს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

სამადლობელი წერილი სულდიდი და ზურგდიდი ზუგდიდლებისადმი

ვერაფრით დავიჯერებდი თუ ოდესმე რამეს დავესესხებოდი „ნაციონალურ მოძრაობას“, მით უფრო ბილბორდს: **„გამარჯვება იწყება ზუგდიდიდან“**. მათ უყივლათ ენამ. მათ ლოზუნგი კი დაინახეს სწორად, ოღონდ სწორად ვერ დაინახეს ვისი იქნებოდა სინამდვილეში ეს გამარჯვება — **„ქართული ოცნების“ — საქართველოსი.**

დიახ, საქართველოს გამარჯვება დაიწყო ზუგდიდიდან 2019 წლის 19 მაისიდან **გეგა შენგელიას**, ამ დაუღლელი ენერგიისა და ალალმართალი ბუნების ადამიანის მერად არჩევით.

დიახ, ზუგდიდიდან დაიწო საქართველოს გამარჯვება, როცა მის ხევხუვებში, დარჩელში, ახალკახათში, კახათსა თუ რუხში, აუტანელ ხვატში მიმოსვლისას ოფლს იწურავდნენ მხარის გუბერნატორი **ალექსანდრე მოწერელია**, ჯანდაცვის მინისტრი **დავით სერგეენკო, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, გივი ნოდია, ოთარ გაბელია, გურამ საღარაძე, გიორგი ვოლსკი, გია ჯიჭონაია, ლაშა გვასალია**, რომელსაც დაშინება დაუწყეს ნაცებმა ვითომ ამომრჩეველების მოსყიდვის, მათზე ზეწოლის ბრალდებით და მენტორულად შეახსენებდნენ სათანადო იურიდიულ მუხლებს, რომელიც საბოლოო ჯამში რვა წლის პატიმრობას გულისხმობდა **(თითქოს დამნაშავეთა მხილება ელექტორატის მოქრთამვა ყოფილიყოს!!!)**, მაგრამ ნათქვამია: **მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა!**

დიახ, ზუგდიდიდან დაიწყო გამარჯვება, როცა **ბაკურ გულუამ** 90 წლის ბერმუხა **ოთარ ფაცასიასადმი** მისალმება საარჩევნო ტრიბუნად გამოიყენა საქართველოს ნაღები საზოგადოების წინაშე და **გეგა შენგელია** უალტერნატივო მერად დაუსახა ზუგდიდს!

დიახ, საქართველოს გამარჯვება დაიწყო ზიგდიდიდან, როცა ლეგენდარულ **კაკა ჟვანიას** როგორც იქნა ჯეროვნად მიაგო პატივი ქართულმა საზოგადოებამ, როგორც იქნა საჯაროდ გაცხადდა მის გაუგონარ თავდადებაზე — 80 კაცით სამ დღე-ღამეს რომ შეაყოვნა ლევანდოვსკის დივიზია ენგურთან; როცა „ვეფხისტყაოსნის“ მეგრული თარგმანით აცნობდა ქართულის უცოდინარ სამეგრელოს გენიალურ რუსთაველს;

დიახ, საქართველოს გამარჯვება დაიწყო ზიგდიდიდან, როცა „ქართილი ოცნებისგან“ მოსუქებული და „ქართულ ოცნებაზე“ განაწყენებული ზოგიერთი ორ ცხენზე მოჯირითე განითესა მისგან და ამ აქტის საპირწონედ მწერალმა **გური ოტობაიამ** სიტყვიერი განცხადება აფრინა „ქართული ოცნების“ ლიდერ, **ალდაჩხირ ირაკლი ღარიბაშვილთან** შინაარსით: **„მიმიღეთ პარტიის რიგით წევრად“;**

დიახ, საქართველოს გამარჯვება დაიწყო ზუგდიდან, როცა დრომ პილიტიკურ არენაზე ამოსტყორცნა „საერთო გაზეთის“ გარშემო დარაზმულა ძელგი ინტელექტუალური ძალა, **„ახალი ეროვნული მოძრაობა — ახალი საქართველოსათვის“ — ვახტანგ ხარჩილავას, კობა არაბულის, მერაბ შათირიშვილის, ბუბა ხოტივარის, ელიზბარ ჯაველიძის, ავთანდილ არაბულის ლევან ანჯაფარიძის, ირაკლი ვაშაყმაძის, ბესო მიქავას, გური ოტობაიას** და სხვა მოღვაწეთა სახით.

დაბოლოს, დიახ, საქართველოს გამარჯვება დაიწყო ზუგდიდიდან, როცა **ერის უგვირგვინო მეფე — ილია ჭავჭავაძე** ჩამობრძანდა სამეგრელოში და მისი უმაგალითო ერთგულებით მონუსხულმა **სრულიად საქართველო იხილა ცხადლივ, დიდი საქართველო, უკვდავი საქართველო!**

გური ოტობაია

„გაუპატიურებული ოფოფი“ შეიძლება „ნაცებმა“ სასიკვდილოდ დაჩინჩლონ

„ნაციონალები“ ნიკა გვარამიას ღალატსა და „ქართულ ოცნებასთან“ ფარულ თანამშრომლობაში ადანაშაულებენ

სოციალური ქსელები აფეთქდა — 18 მაისს, არჩევნების წინა ღამეს, ზუგდიდიდან გაკეთებული რეპორტაჟების სერიის შემდეგ ნიკა გვარამიას ღიად ადანაშაულებენ „ქართულ ოცნებასთან“ ფარულ გარიგებასა და ღალატში, თუმცა ბევრს არ სჯერა ამ ვერსიის და თვლიან, რომ გვარამიამ „ნაცებს“ შეგნებულად და მიზანმიმართულად კი არ უღალატა, არამედ, უბრალოდ, გარეკა და მისი არაადეკვატური გამოხტომები სწორედ ფსიქიკური პრობლემების ბრალია.

ნიკუტას, როგორც მას „მოფერებით“ შეარქვეს, კრამიტი რომ აქვს დაცურებული, ამას დიდი ხანია, ამჩნევს ქართველი საზოგადოება, თუმცა, გასაკვირია, რატომ ვერ ამჩნევდნენ ამას „ნაციონალები“, მაგრამ „ნაციონალები“ გვარამიას გაგიჟებას როგორ შეატყობდნენ, როცა ოც წელზე მეტია, გიჟი ჰყავთ ბელადად და ამისი დანახვა და აღიარება ვერ მოახერხეს.

ნიკუტამ, თავისი ბილწსიტყვაობით, თავისი ქუჩური ლექსიკით, დიდი ხნის გამოუწმენდავ ჩეჩმას დაამსგავსა „რუსთავი-2“, მერე მის მიერვე დახვავებულ ძღ...ში ჩაჯდა და მასში ისე ჩაეფლო და ჩაიძირა, ვერც კი მიხვდა, რა დაემართა.

ნიკუტას საქმე დამთავრებულია — მისი გაწმენდა და გარეცხვა შეუძლებელია და მას მალე მოისვრიან „ნაცები“ ნახმარი პრეზერვატივივით. მაგრამ ერთ რამეზე ნამდვილად ღირს დაფიქრება — ვერაგმა და სასტიკმა „ნაცებმა“ ისე არ გააკეთონ, რომ გვარამია თვითონ „გაასუხარონ“, მერე კი ყველაფერი „ქართულ ოცნებას“ დააბრალონ.

ასე რომ, დროზე უშველე თავს, ნიკუტ, დროზე გაიქეცი, დროზე გაფრინდი აქედან, შე გაუპატიურებულო ოფოფო, სანამ „ნაცებს“ ისე არ დაუჩინჩლიხარ, რომ გაქცევის და გაფრენის თავი არ გქონდეს.

დავით ქავთარია

სანდრა შურისძიებით და ქართველების მიმართ სიძულვილით შეპყრობილი, მეომარი მდედრია, რომელსაც უნდა ვიკინგივით შემოიხიოს ტანზე ჩვენი ქვეყანა

შუალედური არჩევნების წინა დღეს კონფლიქტოლოგი და პიარ-ტექნოლოგი ლალი მოროშკინა „პალიტრანიუსი“-ს გადაცემა “360 გრადუსის“ სტუმარი გახლდათ, სადაც ზუგდიდის მერობის კანდიდატთან, სანდრა რულოვსთან დაკავშირებით რამდენიმე საინტერესო ინფორმაცია გაახმოვანა. მოროკინას თქმით, სანდრამ მშვენივრად იცის, რომ არჩევნებში დამარცხებისთვის არის განწირული, თუმცა მისი მიზანი გამარჯვება კი არა, „სიტუაციის არევა“ გახლავთ. არჩევნების შედეგებზე და ქართულ პოლიტიკაში სანდრა რულოვსის როლზე „საერთო გაზეთს“ ლალი მოროშკინას ესაუბრა:

— დავიწყებ იმით, რომ არასდროს, არცერთ პოლიტიკურ ვითარებასთან მიმართებაში არ გამიკეთებია მცდარი პროგნოზი, იმიტომ რომ ამ ქვეყანაში მუშაობის ძალიან დიდი გამოცდილება მაქვს. მუდმივად იქ ვიყავი, სადაც პოლიტიკური პროცესები დუღდა. ადამიანები, ვისთან ერთადაც ვსწავლობდი და ვმეგობრობდი, შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტები და უმაღესი პოლიტიკური თანამდებობის პირები გახდნენ. არაერთხელ მითქვამს, რომ ქართული მედია იქნება თუ რუსეთის

სტუდია, სადაც პოლიტოლოგად მიწევს ხოლმე ყოფნა, არასდროს დავწვრილმანდები და არასდროს გადავკვეთ წითელ ხაზებს, რომ მიხეილ სააკაშვილის ოჯახურ ურთიერთობაზე ვისაუბრო, მაგრამ ყოველთვის გავიმეორებ იმას, რასაც ძალიან დიდი ხნის წინ ვამბობდი – ამ ოჯახში ყველა პროცესის ავტორი და დამგეგმავი სანდრა რულოვსი გახლავთ, ხოლო მიშა უბრალოდ, კარგი შემსრულებელია. ზუგდიდის შუალედურ არჩევნებში ყველამ დაინახა, რომ ეს მეგრულად მომღერალი, მიამიტი, ქერა გოგონა კი არა, შურისძიებით და ქართველების მიმართ სიძულვილით შეპყრობილი მეომარი მდედრია, რომელსაც უნდა ვიკინგივით შემოიხიოს ტანზე ჩვენი ქვეყანა. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ნაციონალები უნდა გასამართლდნენ, შემსრულებლებზე მეტად, შემოქმედებს ვგულისხმობთ. შემსრულებლებთან მე პირადად, ნაკლები პრობლემა მაქვს..

— „პროკურატურას რომ კარგად ემუშავა, დღეს სანდრა რულოვსს სულ სხვა ადგილას ვნახავდით“- რას გულისხმობდით, როცა ეს თქვით?

— მე ვარ ადამიანი, რომელსაც პროკურატურამდე მივიტანე პატიმრების ჩვენებები, სადაც სანდრასთან მიმართებაში ძალიან ბევრ პრობლემაზე იყო საუბარი, მაგრამ ვერასდროს მივიღე პასუხი. ყველაზე მეტად სცოდავს ცესკო, რომელიც ახერხებს და არეგისტრირებს კანდიდატს, რომელსაც დევნილი ქმარი ჰყავს და მის მიმართაც არსებობს ძალიან ბევრი კითხვა.

— ბევრისთვის, მათ შორის, ნაციონალურ მოძრაობაშიც მოულოდნელი აღმოჩნდა მშვიდი და გაწონასწორებული რულოვსისგან არჩევნების შემდეგ იმ განცხადებების მოსმენა, რომლებიც ყველამ მოვისმინეთ. თვითონაც აღნიშნა, აქამდე მშვიდი ვიყავი, მაგრამ ახლა მოქმედების დროაო.

— მშვიდი არასოდეს ყოფილა, უბრალოდ, პროფესიონალი იყო და აქამდე კარგად ინიღბებოდა. საბოლოოდ, ყველა სპეცაგენტი კარგავს თავის ნიჭს და სანდრაც ეს დაემართა. მან თავისი ნამდვილი სახე გამოავლინა და დღეს აბსოლუტურად განიარაღებულია. მე საერთოდ ვფიქრობ, რომ მიშას თავის დროზე უნდოდა მისგან გამიჯვნა, რაც ეტყობათ კიდევაც ოჯახურ ურთიერთობებში, თუმცა გარკვეული მოვალეობების გამო უწევდა ამ კვაზი ურთიერთობის შენარჩუნება. ჩემი აზრით, მიშა რაც უფრო ადრე გაემიჯნება სანდრას, მით უფრო უკეთესი იქნება მისთვის.

— მიხეილ სააკაშვილის მსხვერპლად გამოცხადება ცოტა უცნაური ხომ არ არის?

— მიშა ანგელოზია თქო, არ ვამბობ, თუმცა ყველაფერი შედარებითი და შეფარდებითია. თუ ჩვენ ვლაპარაკობთ ბოროტებაზე, რომელიც ამ ოჯახიდან მოდიოდა, იქ სანდრა მეტი ბოროტება იყო. როგორ გგონიათ, რომელი უფრო დიდი ბოროტებაა ნაციონალური მოძრაობა თუ „გირჩი“ ან „ევროპული საქართველო“, რომელიც დღეს მთელი დღე განცხადებებს აკეთებს და ემიჯნება სააკაშვილს. ანუ ერთ მხრივ, ჩვენ ვხედავთ გამარგინალებულ და ფაშიზმი გადასულ ბოროტებას და მეორე მხრივ ადამიანებს, რომლებიც შეცდომას მიხვდნენ და ბოროტებას გაემიჯნენ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ნიკა მელიას და ოთარ კახიძის კომენტარები, რომლითაც ქვეყნის აწიოკებას და დესტაბილიზაციას გაემიჯნენ. დღეს ეს ფაქტობრივად, დაშლილი გუნდია. „ევროპული საქართველო“ ორიენტირებულია ბოდიშის მოხდაზე და შეცდომების აღიარებაზე და ცდილობს იპოვოს თავისი, შედარებით ტოლერანტული ნიშა. მეორე მხარეს კი არის სანდრას მარგინალური ჯუფი. არჩევნების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე ლიდერის კომენტარი ვნახე. 10 ათასი კაცია დასახვრეტი და გაიწმინდება საქართველოო. ანუ ის კი არა, რომ მოიბოდიშონ, პირდაპირ კაცის კვლაზე არიან ორიენტირებული. როდესაც სააკაშვილთან გამიჯვნას ვამბობ, 100%-ით ვგულისხმობ სანდრა რულოვსს, რადგან ეს ქალი არის ბევრი ცუდის შემოქმედი, რაც საქართველოში ხდებოდა.

— სავარაუდოდ, სააკაშვილის უკრაინულ გეგმებს ასრულება არ უწერიათ.. ყოფილი პრეზიდენტის პოლიტიკურ მომავალს სად ხედავთ?

— როდესაც ნაციონალური მოძრაობა ზელენსკის გამარჯვებას ზეიმობდა, მე ვწერდი, რომ მალე გაუცრუვდებოდათ იმედები, იმიტომ, რომ ზელენსკი ოლიგარქიული წრის წარმომადგენელი და თავად ოლიგარქია, სააკაშვილს კი ენა უსწრებს და ყველგან თქვა, რომ უკრაინაში ოლიგარქიული მმართველობა დასრულდა. შესაბამისად, ამ ქვეყანაში მისი ადგილი აღარ არის. არაერთხელ მითქვამს, რომ სააკაშვილისთვის საუკეთესო გამოსავალი მონანიება და ციხეში ჩაჯდომა იყო, მაგრამ საკმაოდ მხდალი ადამიანია და ამის თავი არ აქვს. ამიტომ მან უნდა შეძლოს და განერიდოს ყველაფერს. მესმის, რომ ეს ადრენალინი, რომელიც გამოუმუშავდა, ნარკოტიკივით არის და უკვე აღარ შეუძლია, რომ „ლაივები“ არ ჩაწეროს და ყველაფერზე კომენტარი არ აკეთოს, მაგრამ ამით საკუთარ საქმეს და იმიჯს აზიანებს. მისთვის ყველაზე კარგი იქნება გაჩუმება და ანალიტიკური სტატიების წერა. რეალურად, სააკაშვილი არის ძალიან საცოდავი ადამიანი მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მდიდარია და თავადაც ოლიგარქია. მისთვის ძნელია პრეზიდენტობიდან გადაერთოს ყოფითზე და ლექცია წაიკითხოს ან წიგნი დაწეროს, მაგრამ უნდა იპოვოს თავის თავში ძალადა ყველაფერს, მათ შორის ამ სანდრასაც დაარქვას თავისი სახელი, მაგრამ როდესაც ორი ადამიანი ერთად რაღაცა თემის შესრულებას იწყებს, როგორც დამკვეთი და შემსრულებელი, ამის დასრულება ცოტა რთულია.. ჩვეულებრივი სასიყვარულო ისტორიები მთავრდება და ასეთი ისტორიები არა. მიშა არ არის თავის თავზე დამოკიდებული და მშვენივრად ესმის, რომ რა წუთშიც გამოვა „თამაშიდან“, იმ წუთში იქნება ლიკვიდირებული.

— ლიკვიდაციაში ფიზიკურ განადგურებას გულისხმობთ?

— რა თქმა უნდა. ის არის პოლიტიკურ თამაშში ჩართული, ჰყავს თავისი დამკვეთი და როგორც კი დაკვეთას არ შეასრულებს, მისი ლიკვიდაცია მოხდება. სხვათაშორის, თემურ ალასანიამ, რომელსაც სპეცსამსახურებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, მშვენივრად იცის, რომ მიშა იმ დამკვეთის სამიზნეა, რომელიც კონკრეტულ ვითარებაში, რაღაცას უკვეთავს.

— თუ ამ ლოგიკას მივყვებით, გამოდის, რომ 9 წელი ქვეყანა აგენტმა მართა?

— ის, რომ სააკაშვილმა ჩვენი ენერგორესურსები რუსეთს გადასცა, ის, რომ რუსებს გაუხსნა გზა თავის დროზე, ის, რაც 2008 წელს მოხდა, არავისთვის საიდუმლო არ არის. ეს ყველაფერი რომ ამერიკის ინტერესებში ყოფილიყო, აქ დიდი ხანია, ელჩიც იქნებოდა და პროცესებიც სხვაგვარად განვითარდებოდა. ამერიკას საქართველოში არა აქვს იმხელა ინტერესი, რამხელაც რუსეთს და ეს ცხადია. თუნდაც, როცა ღრმაწყლოვან პორტზეა ლაპარაკი, აწყობს რუსეთს ეს პორტი იქვე ყურისძირში? არა თქმა უნდა, არა და მე საერთოდ მგონია, რომ მთელი ეს ალიაქოთი და ზუგდიდის თემა ღრმაწყლოვანი პორტის თემას უკავშირდება, რომელიც რუსეთს კატეგორიულად არ უნდა. ყველაფერთან ერთად, ყარსის ხელშეკრულებას ვადა გასდის და ამ მისტერ და მისის სმიტებს ვინ როგორ გამოიყენებს არ ვიცით, ამიტომ ქვეყანა ძალიან ფრთხილად უნდა იყოს. უნდა მოხდეს გაერთიანება იმ პატრიოტი ადამიანების, რომლებსაც ეს ქვეყანა უყვართ.

ნელი თორდია
571 35 36 88

ჰოლანდიის ღამე, რომელიც არავინ იცის, როდის გათენდება

ჰოლანდიაში, ბოლო საპარლამენტო არჩევნები პრემიერ-მინისტრ მარკ რუტის პარტიის, „ხალხის პარტია თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის" გამარჯვებით დასრულდა. ევროსკეპტიკოსი და ისლამოფობი ოპონენტები დამარცხდნენ... ჰოლანდიის არჩევნები, სადაც გირტ ვილდერსის ნაციონალისტურმა "თავისუფლების პარტიამ" ვერ გაიმარჯვა, ევრო ცენტრისტებს ევროპის მომავლის რწმენა გაუმყარა. ანტი-ისლამისტური განწყობებით ცნობილმა ვილდერსმა საარჩევნო ბრძოლა წააგო, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ წაუგია ომი, რომელსაც როგორც თვითონ ამბობს "ქალების და ჰომოსექსუალების მჩაგვრელი კულტურის წინააღმდეგ" მართავს. არსებობდა ვარაუდი, რომ ანტი-ისლამისტი და ევროკავშირის მოწინააღმდეგე პოპულისტი ლიდერი გირტ ვილდერსი „პარტია თავისუფლებისთვის"-დან მოიგებდა არჩევნებს, პარლამენტში ყველაზე დიდი ფრაქციის მოპოვებით. თუმცა, ეს ვარაუდი არ გამართლდა. არჩევნებამდე აქტუალური იყო კითხვა-ჰოლანდიელები ისევ ტოლერანტულები უნდა იყვნენ მათ ქვეყანაში ისლამიზმის გავრცელება-დამკვიდრების მიმართ თუ მათ უნდა დაიცვან თავისი ეროვნულ-კულტურული მეობა? გირტ ვილდერსი რომელიც ყურანს ჰიტლერის წიგნ „ჩემი ბრძოლა"-ს ადარებდა და თავისი კამპანიის მთავარ თემად თავის პოზიციას მაჰმადიანთა იმიგრაციის წინააღმდეგ წარმოაჩენდა, პირობას დებდა, რომ მთავრობის თავმჯდომარედ გახდომის შემთხვევაში დახურავდა ქვეყანაში არსებულ მიზგიდებს. ის მოითხოვდა ჰოლანდიის საზღვრების დაკეტვას და სამაგალითოდ თვლიდა დიდ ბრიტანეთს. რომელსაც ევროკავშირიდან გასვლა მიგრაცის ნაკადის უკეთესად გასაკონტროლებლად სურდა. პოპულისტურმა ნიაღვარმა არ წალეკა ჰოლანდია, როგორც ამის ეშინოდა ევროპას, მაგრამ ექსტრემალურ მემარჯვენეთა პარტია. გავიდა მეორე ადგილზე მიგრანტების კრიზისი გრძელდება. გრძელდება იმიგრაციაც. იმიგრანტები ეძებენ უკეთეს ცხოვრებას და თითქოს მზად არიან ინტეგრაციისთვის; მიუხედავად ამისა ისინი მენტალობით, რწმენით და ცოდნით ბევრად ჩამორჩებიან ჰოლანდიურ საზოგადოებას. მათი რწმენის ნაწილია საუკუნეებიდან ჩარჩენილი ებრაელთა სიძულვილი, რაზეც მოწმობს სოციოლოგი მარკ ელჩარდოსის მიერ წარმოშობით მაროკოელი მოსახლეობის კვლევა რომელსაც ტაბუ ადევს. ორი წლის წინ, ჰოლანდიის დემოკრატიული პარტიის მაჰმადიანმა წევრებმა ფეისბუკის მათ ოფიციალურ გვერდზე გამოაქვეყნეს ანტისემიტური ლოზუნგები. ისინი წერდნენ, რომ „ებრაელები ეშმაკზე უარესები არიან, რომ ჰიტლერი ებრაელი იყო. რომ ებრაელები ვილდერს ათამაშებენ როგორც თოჯინას, რომ ებრაელებს უნდათ ჰოლანდიაში არეულობის მოწყობა. ამან დიდი აურზაური გამოიწვია ჰოლანდიაში. ზომიერი მაჰმადიანი ჰოლანდიელები კი თითქოს ემხრობიან მშვიდობიან თანაარსებობას, მაგრამ ისინიც შეიძლება აიტანოს ებრაელთა სიძულვილმა. თებერვლის შუა ხანებში მაროკოელმა იმიგრანტმა ტელევიზიით დაგმო ჰოლანდიური საზოგადოების ანტი-ისლამიზმი. მან მოუწოდა ურთიერთპატივისცემისკენ და მშვიდობიანი თანაარსებობისკენ. „მე მინდა რომ რომ ჩემმა ოჯახმა და ყველამ ჰარმონიულად იცხოვრონ" დაუმატა მან. მაგრამ რამოდენიმე საათის შემდეგ იგივე, სოციალისტური პარტიის ძველმა აქტივისტმა დიამეტრალურად საწინააღმდეგო რამე განაცხადა ტვიტერის საშუალებით. ერთ კომენტარში ის აცხადებდა რომ „ჰიტლერი არაფერი იყო ებრაელებთან შედარებით" და რომ „ვიღაცამ უნდა დაამთავროს ის, რაც ჰიტლერმა დაიწყო 60 წლის წინ". სხვა პოსტში ის მოუწოდებდა ისრაელელი ებრაელების მასობრივი მკვლელობისკენ... ვილდერსმა ტელეინტერვიუში განაცხადა, რომ ისლამისტური იდეოლოგია ნაციზმზე უფრო საშიშია და მაროკოელები ნაძირლები არიან. „ყველა მაროკოელი არაა ნაძირალა მაგრამ ბევრი ნაძირალაა მაროკოელებს შორის და ჩვენს ქუჩებში მეფობს დაუცველობის განცდა, ეს უნდა შეიცვალოს, ჰოლანდია ისევ უნდა გახდეს ჩვენი ქვეყანა. ვიყოთ ტოლერანტულები, ვინც ტოლერანტულია ჩვენს მიმართ არატოლერანტულები ვინც არატოლერანტულია ჩვენს მიმართ" ასეთ მოწოდებებს აქტიურად გამოეხმაურა საზოგადოება რომელიც დიდი ხანია ამაყობს თავისი ლიბერალიზმით, ზრუნავს თავისი მულტიკულტურალობის და ტოლერანტულობის განვითარებაზე, ჰომოსექსუალების უფლებების დაცვის, ევთანაზიის შემოღების, ჰაშიშის ლეგალიზაციის ნაირი საკითხების ავანგარდში ყოფნაზე. ფაქტია, ლიბერალური მოდელი იბზარება როგორც ჩანს, შემწყნარებლობა-ტოლერანტულობის ამ სამეფოსაც აქვს საზღვრები. ვილდერსის აზრს იზიარებდა ისლამიზმის გავრცელების კრიტიკოსი, მწერალი და კინემატოგრაფისტი ლეონ დე ვინტერი რომლის განცხადებით მიგრანტების მიღება არაა ევროპელი ერების მორალური ვალდებულება. ვინაიდან როდესაც პატივს ვცემთ მიგრანტების კულტურას ვხედავთ რომ იკარგება ჩვენი საკუთარი კულტურა და მეობა. „ჩნდება მაჰმადიანთა იმიგრაციის ნეგატიური აღქმა და მოსახლეობაში და განსაკუთრებით ჰოლანდიის ებრაელთა შორის ჩნდებიან ქვეყნის მეტისმეტად ბევრის დამშვები მიგრაციული პოლიტიკის კრიტიკოსები". როგორც ირკვევა, ამსტერდამის ძირძველი მაცხოვრებლებისთვის მიუღებელია

ქალაქის ცენტრში სამეფო სასახლის წინ სახელგანთქმულ მოედანზე სალოცავად შეკრებილი თურქი მაჰმადიანების ხილვა ასევე, დროშების და თურქეთის პრეზიდენტის პორტრეტების ფრიალი. ხმამაღალი შეძახილები და ისტორიული ადგილის თურქული ნაციონალიზმის ტრიბუნად გადაკეთება საიდანაც აკრიტიკებენ ქურთების მოთხოვნათა მხარდამჭერ დასავლეთის ქვეყნებს. ამ ბრბოს პირისპირ თავის ადგილს ვერ პოულობენ ჰოლანდიელი ხელოვანები რომლებიც ართობენ ხოლმე მოსეირნეებს და ტურისტებს. ძირძველ ჰოლანდიელებს და განსაკუთრებით მაჰმადიანური ქვეყნებიდან გამოსულ იმიგრანტებს შორის არსებული უფსკრული იზრდება. ყველამ იცის რომ შეიძლება დაიღვაროს სისხლი. ხშირად იხსენებენ 2004 წელს თუ როგორ მოკლა წარმოშობით მაროკოელმა ჰოლანდიელმა მუჰამედ ბუიერმა ვინსენტ ვან გოგის ძმის შთამომავალი კინორეჟისორი თეო ვან გოგი. რომელიც ველოსიპედით სამსახურში მიდიოდა როცა მას მკვლელმა გულში დანა გაუყარა და ამ დანით სხეულზე დაამაგრა წერილი რომელიც მან მისწერა წარმოშობით სომალელ ჰოლანდიელ პოლიტიკოს და მწერალ ქალბატონს რომელიც აკრიტიკებდა მისი აზრით პრიმიტიულ ზოგ მაჰმადიანურ პრაქტიკას. ამ ქალბატონმა თეოსთან ერთად გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მორჩილება" რომელიც გმობდა ქალთა დამცირებას მაჰმადიანურ კულტურაში და აჩვენებდა ისლამში დოგმის რანგში აყვანილ ქალთმოძულეობას. მკვლელი, სინანულის ნაცვლად ამბობდა რომ მან მოკლა მაჰმადიანთა მტერი ებრაელების სამსახურში მდგარი ვინმე. ტერორისტი გმობდა ჰოლანდიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ებრაელების ბატონობას რის მაგალითადაც მოჰყავდა ამსტერდამის იმდროინდელი ებრაელი მერი „როგორ შეგიძლიათ პალესტინელთა გენოციდის მსურველი იზრაელის მხარდამჭერი პარლამენტის წევრად ყოფნა" წერდა მკვლელი ტერორისტი დეპუტატს. თეოს ერთ-ერთი მეგობარი, ღიად ჰომოსექსუალი რომელიც ასევე აკრიტიკებდა ისლამს, ორი წლით ადრე დღისით მზისით მოკლა ვიღაც მემარცხენე ექსტრემისტმა. ასევე, ჰოლანდიელი პოლიტიკოსი მოკლა რადიკალმა ეკოლოგმა. რომელმაც სასამართლოზე 2003 წელს განაცხადა რომ მან პიმ ფორტინი მოკლა იმიტომ რომ მას მაჰმადიანები არ გამოეყენებინა განტევების ვაცებად. პიმ ფორტინმა სიცოცხლის ბოლოს შექმნა პოპულისტური მოძრაობა რომელიც დამკვირვებელთა უმრავლესობამ გამოაცხადა ექსტრიმისტულ მემარჯვენე მოძრაობად. თვითონ ის უარყოფდა ამას და ამბობდა რომ არის ნაციონალისტი. ის მტრულად იყო განწყობილი ისლამის და ჰოლანდიაში არაევროპული იმიგრაციის მიმართ. თავის პოზიციას ასაბუთებდა კულტურული განსხვავებებით და იმით რომ უამრავ იმიგრანტს არ უნდა ასიმილაცია. მაგრამ მას არასოდეს უხსენებია რასობრივი კრიტერიუმები. მისი აფიშირებული ჰომოსექსუალობის გამო მას არ იკარებდა მრავალი პარტია. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ინტერვიუში განაცხადა, რომ 16 მილიონი მცხოვრები ჰოლანდიისთვის საკმარისი რაოდენობაა და ყოველ წელს 40 000 მიგრანტის მიღება უნდა შეწყდეს. მისი აზრით ჰოლანდიის კონსტიტუციის მე-7 მუხლი რომელიც იძლევა სიტყვის თავისუფლების გარანტიას უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ ვიდრე პირველი მუხლი რომელიც უპირისპირდება დისკრიმინაციას. მაგრამ ფრთხილი ფორტინი ამბობდა, რომ არ უნდა მიიღონ იმიგრანტები ვისაც არ უნდათ ჰოლანდიურ საზოგადოებაში ინტეგრაცია, მასთან ასიმილაცია. ინტეგრირებულ-ასიმილირებული იმიგრანტების ჰოლანდიაში ყოფნა კი პრობლემა არაა. ისლამისტებისთვის ჰოლანდიელად ყოფნა ცხოვრებისეული შემთხვევითობაა. ისინი თავის თავს თვლიან მაჰმადიანთა მსოფლიო თემის წევრებად, მათ სწამთ ისლამის ღირებულებები და უნდათ შარიათის მოთხოვნების შესრულება. ამ ხალხისთვის რელიგიის კრიტიკა აკრძალულია, ენათესავება დანაშაული რომლის სასჯელია სიკვდილით დასჯა. წლების გასვლის მიუხედავად ამ მკვლელობასთან დაკავშირებული ტრავმა ისევ ტანჯავს საზოგადოებას. გაჩნდა ახალი შიშებიც. მით უფრო რომ ჰოლანდიაში იზრდება მაჰმადიანთა რაოდენობა, არის ლტოლვილების კრიზისი. დასავლეთ ევროპაში ბოლო ხანს გაიზარდა მაჰმადიანური ქვეყნებიდან მომავალი იმიგრანტების ნაკადი. მრავალი მაჰმადიანი დამკვიდრდა მიმღები და მულტიკურული ქალაქის სახელის მქონე ამსტერდამში. მაგრამ პარალელურად გავრცელდა ცუდი გრძნობები უცხოელების მიმართ. ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელდა ანტისემიტიზმიც.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

(გაგრძელება იქნება)

მსოფლიო დენთის კასრზე

ახლო აღმოსავლეთის, კერძოდ სპარსეთის ყურის რეგიონი დენთის კასრს დაემსგავსა, რომლის გარშემოც ნაპერწკლებია და როდის იფეთქებს, არავინ უწყის. მიზეზი არახალია — ირანის ბირთვული არსენალი. ჯერ კიდევ შარშან, ამერიკის შეერთებული შტატების ირანის ბირთვული შეიარაღების ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გასვლამ პოლიტიკოსების შეშფოთება გამოიწვია. მათი აზრით, აუცილებელი იყო მოლაპარაკების განახლება და აღნიშნული ხელშეკრულების განახლება, რაც რეგიონში სტაბილურობის გარანტი იქნებოდა. თუმცა, აშშ-ის მხარემ ექსპერტების მოსაზრება არ გაითვალისწინა და ბოლო ერთი წელია, ირანის მიმართ მხოლოდ სანქციებს ამკაცრებს.

უკეთესი მომავლის იმედით დაღლილმა ირანის ხელისუფლებამ ორი კვირის წინ ევროპის ქვეყნებს მიმართა, რათა ორ თვეში დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია ბირთვული შეიარაღების ხელშეკრულებაზე. თუმცა, ევროპის ქვეყნებს საკუთარი პრობლემები მრავლად აქვთ. ამიტომ ირანის ხელისუფლება დათქმული ვადის გასვლას არ დაელოდა. გასულ კვირას ირანის პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ იწყებს ურანის გამდიდრებაზე მუშაობის განახლებას. უფრო მეტიც, არ გამორიცხავს ბირთვული იარაღის შექმნასაც.

საპასუხოდ, აშშ-მა სპარსეთის ყურეში 7 სამხედრო გემი, მათ შორის ავიამზიდი, ბალისტიკური რაკეტებით აღჭურილი ხომალდები გააგზავნა. მათი შეიარაღების დეტალურ აღწერას ახლა არ შევუდგებით, სამხედრო ექსპერტების განცხადებით, შვიდივე გემი საკმაოდ მძიმე და მძლავრი შეიარაღებით არიან აღჭურვილები; აშშ-ის ფლოტილიას ერთი ესპანური ფრეგატაც შეუერთდა. საუდის არაბეთის განცხადებით, რეგიონში სამხედრო მოქმედებების დაწყება არ სურთ. ექსპერტების განცხადებით, რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად საუდის არაბეთი სიამოვნებით ჩაერევა სამხედრო კონფლიქტში, რითიც ეცდება ისრაელის დასუსტებას.

დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებისთანავე პოლიტოლოგები აღნიშნავდნენ, რომ მისი მოქმედების განჭვრეტა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, გაოცება გამოიწვია სპარსეთის ყურეში სამხედრო ფლოტის გაგზავნამ. ერთის მხრივ, ტრამპი ომების წინააღმდეგია, ავღანეთიდან და ერაყიდან ჯარების გაყვანაც დააანონსა, მაგრამ ახლო აღმოსავლეთისკენ დამატებით 120 ათასი სამხედრო მოსამსახურე გადაისროლა. ექსპერტების ნაწილი ვარაუდობს,. რომ დონალდ ტრამპი ცდილობს, ასეთი ზეწოლით თავის პირობებზე მოლაპარაკების მაგიდასთან დასვას ირანის მხარე. მისივე მტკიცებით, აშშ შეძლებს ირანთან ომის თავიდან აცილებას. ირანის სულიერი ლიდერი აშშ-ის მხარესთან მოლაპარაკებას შხამს ადარებს, ხოლო ხელისუფლების განცხადებით, მზად არიან, მოიგერიონ ნებისმიერი შეტევა და სათანადო პასუხიც გასცენ აგრესორებს. სამხედრო ექსპერტების მოსაზრებით, შესაძლოა, ტრამპმა არ დაიწყოს სამხედრო ოპერაცია, მაგრამ რეგიონში პანიკა უკვე გამოიწვია მისმა რიტორიკამ.

ახლო აღმოსავლეთში სავარაუდო სამხედრო ოპერაციის დაწყების გარდა, უკვე აგორებული სავაჭრო ომი ჩინეთთან ახალ ფაზაში გადავიდა. როგორც ცნობილია, აშშ-ის მთავარ მოწინააღმდეგედ ტრამპი სწორედ ჩინეთს მიიჩნევს. გასულ კვირას დონალდ ტრამპმა აშშ-ში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, ქვეყნის საინფორმაციო ტექნოლოგიებს საფრთხე ემუქრებაო. ამიტომაც აკრძალა აშშ-ში „ჰუავეის“, მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ტელეკომუნიკაციების მწარმოებელი ჩინურიკორპორაციის პროდუქციის გაყიდვა. სწორედ ამ კორპორაციის პირმშოა უახლესი 5G სმარტფონების შექმნა-წარმოება. ტრამპი მოკავშირე ქვეყნებს მოუწოდებს, მათაც შეწყვიტონ თანამშრომლობა „ჰუავეისთან“, მაგრამ ევროკავშირი და კანადა არ აპირებენ აშშ-ისთვის მხარის აბმას, რადგან ჩინური პროდუქცია გაცილებით იაფია.

„ჰუავეის“ გარდა, სხვა უამრავი ჩინური პროდუქციაა აკრძალულიაშშ-ში. მიუხედავად ამისა, ჩინელები ცდილობენ, გააგრძელონ მოლაპარაკება და მიაღწიონ ურთიერთშეთანხმებას, მხოლოდ თავიანთი პირობებით, რაც აშშ-ს არ აწყობს. „ჩვენს განადგურებას ვერავინ შეძლებს“, — აცხადებენ ჩინელები. ექსპერტების განცხადებით, დონალდ ტრამპმა სავაჭრო ომით ერთნაირად საზიანო დარტყმა მიაყენა ექსპორტიორებსაც და იმპორტიორებსაც. ჩინეთის რესტორნებში გაჩნდა ტრაფარეტები, სადაც წერია, რომ აშშ-ის მოქალაქეებმა 25%-ით მეტი უნდა გადაიხადონ. მომხმარებლის პროტესტის შემთხვევაში ოფიციანტები მათ აშშ-ის საელჩოში ამისამართებენ.

გასულ კვირას უკრაინის რადამ, ზელენსკის დაჟინებული მოთხოვნით, ორშაბათს დანიშნა მისი ინაუგურაცია. კიევის ცენტრში მოძრაობის შეფერხების გამო ზელენსკიმ მოსახლეობას წინასწარ მოუბოდიშა. ზელენსკის ინაუგურაცია, მისი წინამორბედებისგან განსხვავებით, მოკრძალებული იყო. თავისი პირველი განკარგულებით ახალმა პრეზიდენტმა დაითხოვა რადა, გადააყენა მინისტრთა კაბინეტი. როგორ გაართმევს თავს პრეზიდენტობას ახალბედა პოლიტიკოსი ვლადიმირ ზელენსკი, მომავალში გამოჩნდება.

თუმცა, აქვე სათქმელია, რომ მას საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა ერგო — დანაწევრებული ქვეყანა, თითქმის განადგურებული ეკონომიკა, შიდა და საგარეო კოლოსალური ვალები. ზელენსკიმ ერთ-ერთ პირველ საკითხად დონბასის რეგიონში ცეცხლის შეწყვეტა დაასახელა. საინტერესო იყო მომავალი ჩინოვნიკებისადმი ზელენსკის მიმართვა: „...არ მინდა, კაბინეტებში ჩემი პორტრეტები ჩამოკიდოთ. ამის ნაცვლად თქვენი შვილების ფოტოები იქონიეთ და ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტის წინ მათ შეხედეთ“. როგორც უკრაინელი ექსპერტები საუბრობენ, შესაძლოა, კორუფციის თუ სხვადასხვა მძიმე ბრალდებებით, ყოფილ ჩინოვნიკებზე, მათ შორის, უკვე ყოფილ პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოზეც აღიძრას სისხლის სამართლის საქმეები. აღსანიშნავია, რომ ზელენსკის ინაუგურაციას საქართველოს პრეზიდენტი, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი ესწრებოდა.

სპეცპროკურორ მიულერის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის კვალს თურმე ამაოდ ეძებდა, პრეზიდენტი დონალდ ტრამპი თავის რუს კოლეგას ვლადიმირ პუტინს ტელეფონით დაუკავშირდა. რაზე ისაუბრეს, თავისთავად, უცნობია. ორი კვირის წინ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკლ პომპეომ რუს კოლეგას სერგეი ლავროვს პირისპირ შეხვედრა სთხოვა. საინტერესოა, რომ პომპეო-ლავროვი ერთმანეთს პირისპირ ბოლოს შარშან შეხვდნენ. ვიზიტი თავდაპირველად მოსკოვში დაიგეგმა, მაგრამ პომპეო ბრიუსელში გაემგზავრა. როგორც გაირკვა, ირანის საკითხზე კონსულტაციებისთვის. ევროპელებმა პირდაპირ განუცხადეს პომპეოს, რომ ბირთვული ხელშეკრულების და პრობლემის მშვიდობიანად დარეგულირების ალტერნატივას ვერ ხედავენ.

ბრიუსელიდან პომპეო სოჭში ჩავიდა ლავროვთან შესახვედრად. ვიზიტი, მართალია, ოფიციალური არ იყო, მაგრამ ორი დიპლომატის შეხვედრა 3 საათი გაგრძელდა. ბრიფინგზე პომპეომ განაცხადა, რომ დონალდ ტრამპი რუსეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად არის განწყობილი. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა უკრაინის პრობლემებზე დაუსვა შეკითხვა, მაგრამ გაირკვა, რომ ამ საკითხზე დიპლომატებს საერთოდ არც უსაუბრიათ. ირანის თემა თურმე განიხილეს, მაგრამ კონკრეტულად რა საკითხებზე ილაპარაკეს, არაფერი უთქვამთ. თუმცა, ექსპერტები ვარაუდობენ, რუსეთი ირანთან ურთიერთობას არ გაიფუჭებს.

„ბებერი ქალბატონის“ კონტინენტზე ევროსაპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებიან, რომელიც ამ კვირაში გაიმართება. ექსპერტების ვარაუდით, შესაძლოა, ევროპარლამენტი დღევანდელთან შედარებით სრულიად განსხვავებული პარტიებით დაკომპლექტდეს, რაც ევროკავშირშიც გამოიწვევს ცვლილებებს. ამასობაში კი ევროსაბჭომ რუსეთს აღუდგინა წევრობა. კენწისყრისას წინააღმდეგ ხმა მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებმა და საქართველომ მისცეს. ბალტიისპირელები, ჩვენგან განსხვავებით, ნატოს და ევროკავშირის წევრები არიან. აქ საინტერესოა, რატომ ქმნიან ხელოვნურად პრობლემას ჩვენი პოლიტიკოსები თუ დიპლომატები იქ, სადაც შეიძლება თავის არიდება? ან რატომ მივრბივართ ელმავლის წინ? ნუთუ არ შეიძლება დინჯად, მოთმინებით დაველოდოთ საერთაშორისო მოვლენების განვითარებას? ალბათ, ყველას გვმართებს ამ საკითხებზე დაფიქრება.

გია ბურდული
551 71 27 07

როდის გამოაცხადებს საქართველო მესამე მსოფლიო ჩხუბს?



ჩვენ, ქართველებს ისღა დაგვრჩენია, მესამე მსოფლიო ჩხუბი ოფიციალურად გამოვაცხადოთ. რატომ ჩხუბი, და არა ომი? იმიტომ, რომ ომის თავი არ გვაქვს – ბირთვული იარაღი არ გაგვაჩნია, ხმლებით და შუბებით ბრძოლა მოდაში აღარ არი. ეგეც რომ არ იყოს, გიორგი სააკაძე მოკლეს, ერეკლე მეორე რუსეთში გადაასახლეს, დავით აღმაშენებელი აღარ არი, ვახტანგ გორგასალი იღლიაში დაჭრეს და გარდაიცვალა. განა დარჩა ვინმე, ხელში მშვილდი აიღოს და მტერს ისრები დაუშინოს?!

სხვათა შორის, როგორც ბებიაჩემი თებრო მეუბნებოდა ხშირად, იმედი ბოლოს კვდება. ბუნებრივია, ამნაირი აზრები კი მაწუხებს, მაგრამ ჩემს იმედს სული ბოლომდე არ გასძვრომია – სადღაც გულის კუნჭულში ის ჯერ კიდევ ძალუმად ჭიატებს და ჩამძახის, ამ ქვეყანაში მშვილდის მსროლელნი არ გადაშენებულანო, უბრალოდ გარემო პირობები არ აქვთო, ისინი კომპიუტერებთან სხედან და გამწარებულნი კლავიატურებს აკაკუნებენო... აი, თუ ადგნენო, თუ აიშვესო, მერე ნახავთ ისრების წვიმასო!

იცით, განა მე ომისა მეშინია?.. არა, არც ყუმბარებისა მეშინია, არც ავტომატების კაკანისა, არც ზარბაზნების გრიალისა, არაც ბომბდამშენებისა, არც ისრების წვიმისა, მე მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, სამშობლოს დასაცავად რომ წავალთ, ფრონტიდან იმდენი ლაივ-ჩასრთვები და სელფაობები იქნება, წავაგებთ, ომისთვის ვის ეცლება? მერე კიდე... ვიცი, დაყრით ამ ტელეფონებს და გაჰქუსლავთ წითელი ხიდისკენ. კაი, ბატონებო, მოვკრეფავ, ტომარაში ჩავყრი, არ დაგეკარგებათ, მაგრამ სათითაოდ სად უნდა გდიოთ? თუ მომაკითხავთ, „პაჟალუსტა“... თუმცა, ეხლავე გაფრთხილებთ, არ დაიწყოთ, ყველას „აიფონ 9“-ები გვქონდაო.

მიუხედავად ჩემი ეჭვებისა, მიუხედავად ჩემი ხორკლიანი აზრებისა, ჩვენ, ქართველებს მაინც ისღა დაგვრჩენია, მესამე მსოფლიო ომი კი არა... მესამე მსოფლიო ჩხუბი ოფიციალურად გამოვაცხადოთ. ვიცი, ეხლა უნებლიედ გაგიჩნდებათ შეკითხვა: რა მიზეზით? ჰმ... ჯერ ერთი, მიზეზს რა დალევს და მეორეც – საამისოდ უამრავი რეალური მიზეზი გაგვაჩნია. მაშ, ასე, ჩვენ ჩხუბს ვუცხადებთ თითქმის მთელ მსოფლიოს შემდეგი გარემოებების გამო:

რუსეთს – იმიტომ, რომ ოკუპანტია, ტერიტორიები აგვახია, 218 წელიწადია გვაწვალებს!

თურქეთს – იმიტომ, რომ ოკუპანტია, ტერიტორიები აგვახია და პერიოდულად იძახის, საქართველო ჩემიაო!

ირანს – იმიტომ, რომ მაგასაც ოკუპანტობაზე უჭირავს თვალი და პერიოდულად იძახის, საქართველო ჩემი იყოო!

აზერბაიჯანს – იმიტომ, რომ ეგეც ოკუპანტია, ჩვენი ტერიტორიები წაიღო და ახლა გარეჯის დათრევა უნდა!

სომხეთს – იმიტომ, რომ ეგეც პოტენციური ოკუპანტია, სამცხე-ჯავახეთზე უჭირავს თვალი!

აშუშუს – იმიტომ, რომ ეგეც თავისებურად ოკუპანტია, ჩვენი გაპიდარასტება უნდა, ანუ სხვანაირად გვიპყრობს!

საფრანგეთს – იმიტომ, რომ ხან ავტობუსებს წვავენ, ხან კიდევ ღვთისმშობლის ტაძარს, ხშირად გვატირებენ!

იტალიას – იმიტომ, რომ ქართველებს ხშირად იჭერენ, გვანერვიულებენ!

გერმანიას – იმიტომ, რომ ჩვენი პაპები და ბებიები დახოცეს!

ესპანეთს – იმიტომ, რომ ეგეც ოკუპანტია, უხსოვარ დროში ბასკეთი აგვახია!

ჩინეთს – იმიტომ, რომ ეგეც ოკუპანტია, მცოცავი გრაფიკით გვიპყრობს!

არაბულ სამყაროს – იმიტომ, რომ პლეხანოვს გვახევენ!

საბერძნეთს – იმიტომ, რომ მაგათი მოხუცები ჩვენი შესანახები არიან და ჩვენს ქალებს აწვალებენ!

უკრაინას – იმიტომ, რომ ჩვენზე უარესები გამოდგნენ!

ჰოლანდიას – იმიტომ, რომ ჩვენს ყოფილ პრეზიდენტს სიდედრი აწვალებს და ზომებს არ იღებენ, დააქლიავა ამხელა კაცი!

ვენესუელას, ნიკარაგუას და ნაურუს – იმიტომ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარეს აფხაზეთი და სამაჩაბლო!

ინდოეთს – იმიტომ, რომ ალაზნის ველზე მიწები იყიდეს და ოკუპანტობის ფარგლებში ქერი, ხორბალი თუ ბოსტნეული მოჰყავთ. ისე იქცევიან, გეგონება საკუთარ სახლში არიან!

ისრაელს – იმიტომ, რომ საუკუნეების განმავლობაში ვინახეთ და ახლა ქართველებს საზღვრიდან პანჩურებით ჰყრიან, თავიანთ ქვეყანაში არ უშვებენ. ისე იქცევიან, გეგონება ჩვენი ვალი არ ჰქონდეთ!

ავღანეთს – იმიტომ, რომ საბჭოთა პერიოდში უამრავი ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირეს. გარდა ამისა, გიორგი სააკაძეს იქ რაღაც საკითხები დარჩა მოუგვარებელი და ჩვენ აუცილებლად უნდა მოვიკითხოთ!

ნეტავ ვინმე ხომ არ გამომრჩა? პაკისტანი, კვიპროსი და ვინიტუ ინჩუჩუნას ტომები არ მაინტერესებს – მას შემდეგ, რაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილთან გავასწორებთ ანგარიშს, ეგენი ხელებაწეულნი დაგვნებდებიან!

კი, მაგრამ როგორ გავასწოროთ ანგარიში, რა ძალებით? ჩვენ, როგორც უკვე გითხარით, არც ბირთვული იარაღი გაგვაჩნია, არც საჰაერო ისკადრილია, არც საზღვაო ფლოტი. ერთადერთი, რაც ჩვენს ხელთაა (და მგონი ამის წართმევასაც ცდილობენ), ეს არის ცხელი გული. აი, სწორედ ამ ცხელი გულის წყალობით უნდა დავამარცხოთ ყველა გადამთიელი ოკუპანტი და ამოვარტყათ საკადრისი პანჩური!

დიახაც... კინაღამ დამავიწყდა, ჩვენ ჩხუბი უნდა გამოვუცხადოთ საბჭოთა კავშირს. ჰმ... დაინგრაო, გვატყუებენ ზიგიერთნი და თვითონ ისევ საბჭოთა წესებით ცხოვრობენ, ანუ ბევრი ჩვენ და ცოტა თქვენო. ჰოოო... აი, მივადექით კიდევ ერთ საშიშ მტერს, მასონთა ურდოს, რომელიც ძალუმად მოსდგომია ჩვენი ქვეყნის საზღვრებს და გადაყლაპვას გვიპირებს. მასონთა ურდო ცდილობს, ჯერ ქართველობა წაგვართვას, შემდეგ კი საერთოდ გაგვანადგუროს. ჩვენ არ დავნებდებით, თუ საჭირო იქნება და როგორც ჩანს, საჭიროა, იქით გავანადგურებთ ყველას. მწვადი არაო, პაპიროსი არაო, ხინკალს 19-ის ნაცვლად 5 ნაოჭი უნდა ჰქონდესო, წითელზე არ გადახვიდეთო... რას ჰქვია, არ გადახვიდეთ, აბა, მწვანეზე ხომ ყველა გადავა?!

უკვე გითხარით, ჩვენ ბირთვული იარაღი არ გაგვაჩნია, რომ დედამიწა ერთ საათში გავხლიჩოთ შუაზე. ეს არის ძალიან ცუდი. სხვათა შორის, როცა მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, როცა გენიოსი „ნაცები“ ხელისუფლებაში მოვიდნენ, მაშინ გარკვეულ წრეში წამოჭრილა იგივე საკითხი. ვანო მერაბიშვილს უთქვამს, პატივს კი გვცემენ როგორც ახალგაზრდა რეფორმატორებს, პირშიც გვიცინიან, მაგრამ ვატყობ, ჩვენი არ ეშინიათ, რაღაცნაირად ანგარიშს არ გვიწევენ, რაღაც ისეთი უნდა გავაკეთოთ, რომ ცოტა მორიდება მაინც ჰქონდეთო. სააკაშვილს უთქვამს, მე მაქვს ერთი კაი იდეა, მოდით, სასტუმრო „აჭარა“ დავანგრიოთ და მის ადგილზე ისეთი ტრიუმფალური თაღი ავაშენოთ, მთელი მსოფლიო გადაირიოსო. ირაკლი ოქრუაშვილი შეწინააღმდეგებია, თაღი არა, შაშა და კოლა, აქმერიკელებს იარაღი ვთხოვოთ და რუსებს დავცხოთო. არაო, გამოუთქვამს აზრი ისევ მერაბიშვილს, ატომური ბომბი ვიყიდოთ და ეგ იქნება, ყველას შეეშინდებაო. ერთი ყველაზე ჭკვიანი გამომდგარა, მგონი კახა ლომაია, კი შეეშინდებათ, მაგრამ ამერიკელები მაინც ოღრაშები არიან, სანქციებს დაგვიწესებენ, ნახეთ, ირანი რა დღეში ჰყავთ და სადამ ჰუსეინს კიდე რას უპირებენო. კაი, მაშინ ამერიკელებს ნუ გავაბრაზებთ, სხვა რამე მოვიფიქროთო, ხელი ჩაუქნევია სააკაშვილს. მოიფიქრეს, დიდძალი იარაღი იყიდეს, ავტომატები და ჰაერსაწინააღმდეგოები, დასხდნენ, დაადგინეს, ახლა კი უძლეველნი ვართ, შეგვიძლია რუსეთს გავუტრაკოთო. გაუტრაკეს. იმათ კიდე, იმ რუსებმა ყველაფერი წაართვეს, ავტომატები და ჰაერსაწინააღმდეგოები მოხიკეს, „გრუზავიკზე“ შეყარეს და წაიღეს. ამათ ამერიკელებს აცნობეს, რუსებმა ასე და ასე გვიყვესო. ამერიკელები აღშფოთდნენ, მაგრამ შენიშნეს რა ამათ მიერ გაგზავნილ წერილზე ცრემლების კვალი, ანუ ლაქები, უზარმაზარი გემი პამპერსებით დატვირთეს და გამოაგზავნეს. სხვათა შორის, 2008 წლის აგვისტომდე სამი თვით ადრე შოთა მალაშხიას დავურეკე, რუსეთთან თითქოს სიტუაცია იძაბება და რას ფიქრობთ-მეთქი? მალაშხიას აზრები საერთოდ არ მაინტერესებდა, მაგრამ რედაქციაში დამავალეს. ჰოდა, შოთამ, რომელიც მაშინ „ნაცების“ ერთ-ერთი ლიდერი იყო, ეგეთი რაღაცა მომიხია: ჩვენაო, დღეს უკვე ისეთი შეიარაღება გვაქვს, თავისუფლად შეგვიძლია, კრემლის თავზე საქართველოს დროშა ავაფრიალოთო. მაიცა, ბატონო შოთავ, მეკაიფებით-მეთქი? არაო, როგორ გეკადრებათო, ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებო. დანარჩენი იცით.

ამას წინებზე გამოაცხადეს, მალე მარსზე ტურისტული მოგზაურობა იქნება შესაძლებელიო. ცოტა ძვირი კი ჯდება, მაგრამ ქართველები რამეს მოვიფიქრებთ, წავიდეთ მარსზე და უკან აღარ დავბრუნდეთ. ისე, ჩვენი ბედი რომ ვიცი, იქაც გამოჩნდებიან ოკუპანტები.

P.S. ალბათ, ხვდებით, მეგობრებო, რომ ვხუმრობ, მაგრამ ნათქვამია, ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი, ცოტაოდენი სიმართლე არ ერიოსო. ჰოდა, ჩემ ხუმრობაშიც ურევია ბევრი სიმართლე. გადახედეთ ქართულ მედიას, გადახედეთ სოციალურ ქსელებს და ამაში უთუოდ დარწმუნდებით.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

საქმის კაცი

ოთარ ფაცაცია — 90

„დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმრთისა თანა და სიტყვა იყო ღმერთი“, გვასწავლის ბიბლია. ხოლო, გოეთე უკვდავ „ფაუსტში“ ერთგვარად გადასინჯავს ამ სწავლებას: **თავდაპირველად იყო საქმეო, იტყვის იგი** და საზოგადოებისთვის მუხლჩაუხრელ შრომას მიანიჭებს უპირატესობას.

ბატონი **ოთარ ფაცაციაც** ამ უკანასკნელის ყაიდისაა — **საქმის კაცი**; მისი მთავარი მახასიათებელი ქმნადობა, აღმშენებლობაა. ადამიანებისთვის ზრუნვა მაცოცხლებელი ძარღვივით გასდევს ამ ძელქვა ადამიანის წელგამართულ მოღვაწეობას ცხრა ათეული წლის განმავლობაში.

ოთარ ფაცაცია დაიბადა 1929 წლის 15 მაისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში, მოსამსახურეების ოჯახში.

მამამისი — **ამბაკო ფაცაცია** ჩხოროწყუს რაიონის, სოფელ ჭოღის მკვიდრი გახლდათ. ოჯახის შექმნის შემდეგ კი ზუგდიდში დამკვიდრდა. ზუგდიდში დამკვიდრდაო, ვამბობთ, თორემ, ერთობ მოძრავ კაცს მეუღლე **ლუბა ქარჩავასთან** ერთად აჭარაში გადაიყვანენ სამუშაოდ. პატარა ოთარი მეოთხე კლასის ჩათვლით იქ იღებს დაწყებით განათლებას. ხოლო სამამულო ომის დაიწყებისთანავე მშობლები პატარას ბაბუასთან წამოიყვანენ. ინგირის არასრულ სკოლაში ეუფლება იგი განათლების საფუძვლებს. სწორედ იქ ეზიარება წალდისა და თოხის „გემოს“.

ჯერ ზუგდიდის მე-5 საშუალო სკოლის, შემდეგ კი ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრებისა და ჩრდილოეთში ექვსთვიანი პრაქტიკების გავლის შემდეგ, 1957 წლიდან, ბატონი ოთარი „ენგურქაღალდკომბინატის“ ინჟინერ-ეკონომისტია;

1958 წელს — საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე;

1958–1959 — წლებში პარტიის ზუგდიდის რაიკომის ინსტრუქტორი;

1960 წელს — პარტიის ზუგდიდის რაიკომის მეორე მდივანი, ხოლო 1961 წელს აწინაურებენ პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივნად, 1963 წელს კი სამრეწველო კომიტეტის პირველ მდივნად ინიშნება;

პარტიული სამუშაოდან ისევ „ენგურქაღალდკომბინატს“ უბრუნდება გენერალური დირექტორის თანამდებობაზე, სადაც 1991 წლამდე იმუშავა;

1992 წელს პრეზიდენტის განკარგულებით, ზუგდიდის გამგებლად ინიშნება, ხოლო 1993–1995 წლებში საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა.

1995–1999 წლებში მეოთხე მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრია, რის შემდეგაც ენერგიულად იღვწის საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარის ამპლუაში...

ეს ქრონოლოგიები განგებ წარმოვაჩინეთ მშრალი კონსტანტაციით, რათა ბატონი ოთარის სამსახურებრივი ელვისებური აღმასვლა შესაბამისად გაგვეცნობიერებინა. ნიშანდობლივია, რომ მისი ცხოვრება და მოღვაწეობა გამორჩეულია იშვიათი უნარით, იუმორით შეფერილი მოხერხებულობით, ზოგჯერ კი უფლებამოსილებას გადამეტებული უმართავი ქმედებებითაც.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ ნიუანსზე, რომელიც შთამბეჭდავად წარმოაჩენს მის პიროვნებას: ბატონ ოთარს თავის დროზე (1965 წ.) 7 მილიონი მანეთის დოტაციაზე მყოფი საწარმო ჩაბარდება 1965 წელს და 1992 წელს ზუგდიდის გამგებლად გადაყვანის პერიოდში 22 მილიონი მანეთის მოგებით გადაეცემა სამშობლოს, ხოლო 700-კაციანი ორგანიზაცია მისი ხელმძღვანელობის პერიოდში 4500-ზე მეტი კვალიფიციურ კადრამდე გაიზრდება.

ბატონი ოთარი საკითხს ისე წამოჭრიდა ხოლმე, რომ დარგის საკავშირო მინისტრები ზუგდიდქალაქში ჩამოეყვანა. ჩამოვიდოდნენ ისინი და კომბინატის მესვეურიც ჯერ დადიანების მუზეუმის საუცხოო ექსპონატებს გააცნობდა, შემდეგ კომბინატისკენ გაუძღვებოდა და ბიჯებით გამაგრებულ შენობაში შეიყვანდა, სადაც თვითმოქმედი კოლექტივის თავბრუდამხვევი ცეკვები ყველაფერს აზანზარებდა.

— არიქა, ჭერი თავზე არ დაგვექცეს, რამდენი მანეთია საჭირო, რომ გამართული შენობა გქონდეთო, — იტყოდა შეშინებული მინისტრი და თავზე ხელებშემოწყობილი გამორბოდა აფამფალებული შენობიდან. გაივლიდა რამდენიმე წელიწადი და იმ ადგილას მიმზიდველი კორპუსები ჩამწკრივდებოდა მიყოლებით.

ბატონი ოთარის ინიციატივით გაშენდა პირსი ანაკლიაში, რომელმაც შემდგომში საფუძველი ჩაუყარა პორტის მშენებლობას მის ტერიტორიაზე.

არის უფრო მიუდგომელი სიმაღლეები, მაგალითად — კულტურის სახლის დაფინანსებას რომ აზლავს კომბინატის ტერიტორიაზე. **ნიკიტა ხრუშოვის** დროს საკავშირო „ცეკ“-ას პოლიტბიუროს დადგენილებით კატეგორიულად აიკრძალა კულტურულ-საგანმანათლებელო დაწესებულებების მშენებლობა. ამ ვითარებაში მის განხორციელებაზე ფიქრი ყოვლად უტოპიური იყო. მაგრამ ბატონი ოთარი პრაგმატული აზროვნების პიროვნება გახლდათ. მთელი სამი თვით გადაიკარგა მოსკოვში. და აი, სამთვიანი დაუღალავი მიმოსვლის თავზე განაცხადზე თვით **კოსიგინის** რეზოლუციაც დაფიქსირდა — გამონაკლისის სახით ზუგდიდელებისთვის დაუშვეს კულტურის სასახლის მშენებლობის უფლება აშენება!

28 წლის განმავლობაში კომბინატი მთლიანად გადაიარაღდა ფრანგული, გერმანული და იაპონური მანქანა-დანადგარებით — წარმოება, რომლის მშრომელებს უბრალო სასმელი წყალი არ გააჩნდათ, უმოკლეს დროში საუცხოო საცხოვრებელი პირობები შეექმნათ; ყველა მათგანი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით; აშენდება მათთვის საავადმყოფო, დიაგნოსტიკური ცენტრი, საბავშვო ბაგა-ბაღები, ფეშენებელური სასტუმროები, საცურაო აუზი, ფეხბურთის სტადიონი, კულტურის სასახლე...

ამას დაემატა საცდელად გადმოცემული, ყველაზე ჩამორჩენილი სოფელ ერგეტის არნახული გარდაქმნა: ორნახევარ ჰექტარზე გაშენდა სასათბურე მეურნეობა; მოეწყო მეღორეობის ფერმა; აღიმართა კაპიტალური შენობა 50 სული მეწველი კამეჩისთვის; მოასფალტდა 15 კილომეტრამდე სამანქანე გზა; აშენდა სკოლა, საბავშვო ბაღი; ბატონ ოთარს განზრახული ჰქონდა მოესპო ზღვარი კომბინატსა და ზუგდიდს შორის და ეს ფაქტობრივად განახორციელა კიდეც. ნიშანდობლივია, ისიც, რომ თანამშრომლებისთვის უზრუნველყოფილი იყო „შვედური მაგიდით“ კომბინატის მუშათა სასადილო; კომბინატის კომერციულ მაღაზიებს არ აკლდა საკუთარი წარმოების კამეჩის მაწონი, ყველი, ხოლ-ბოსტნეული, საქონლისა და ღორის ხორცი; წარმატებით ფუნქციონირებდა მათი ოჯახებისთვის ჯანმრთელობის გაჯანსაღების კერა და შეღავათიანი დასასვენებელი სახლები ანაკლიაში; 1976 წლიდან კომბინატისთვის ერთი ძირი ხე არ მოჭრილა სვანეთში — შორეული ტაიგიდან მოდიოდა ნედლეული, ჯერ ხე-ტყის, შემდეგ — ცელულოზას სახით!..

განსაკუთრებულ ორგანიზაციულ ნიჭიერებას გამოავლენს იგი სოხუმის დაცემის დღეებში. დილიდან საღამომდე მათ გვერდით ტრიალებს, მათი გამოკვებისთვის და დაბინავებისთვის ზრუნავს!..

ჯილდოებს რა გამოულევს ამ მართლაცდა ძელქვა პიროვნებას! თავის დროზე მიღებული ჰქონდა ლენინის, შრომის წითელი დროშის, საპატრიარქოს წმინდა გიორგის სახელობის ორდენები... აგერ, ახლახან, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენითაც დაუჯილდოვებიათ.

ბატონი ოთარი იყო საბჭოთა კავშირის ბოლო მოწვევის დეპუტატი, ხოლო 1995–1999 წლებში — საქართველოს პარლამენტის მეოთხე მოწვევის წევრია, აფხაზეთის ლტოლვილთა კომისიის თავმჯდომარე.

ჯანის სიმრთელე გვისურვებია, ბატონო ოთარ, თქვენ იგავმიუწვდომელი ღიმილიანი იყავით მუდამ და დარჩით ასეთი; ყველა სიმაღლე დაგიპყრიათ.

ერთს გისურვებთ, ყველაზე სანუკვარს — **სამშობლოს დღეგრძელობას და მამულის უკვდავებას, რომლისთვისაც იღვწოდით და იბრძოდით მთელი ცხოვრება.**

მეგობრები

წარსულის ტექნოლოგიები

სტამბოლის გასაოცარი მიწისქვეშა წყალსაცავები

სტამბოლის მიწისქვეშეთში არსებული წყალსაცავი ცისტერნები უზარმაზარი სივრცეა კოლონებითა და რომლებიც ბიზანტიის იმპერიის დროს არის შექმნილი კონსტანტინეპოლში. მათი ზუსტი რაოდენობა უცნობია.

მიწისქვეშა წყალსაცავებიდან ყველაზე ცნობილია ცისტერნა ბაზილიკა, რომელიც აია სოფიას ტაძრის მახლობლად მდებარეობს. მის ჭერს ამაგრებს 8 მეტრი სიმაღლის 336 კოლონა, ხოლო კედლები, რომელთა სისქე 4 მ-ია, დამზადებულია ცეცხლგამძლე აგურისგან და დაფარულია ჰიდროსაიზოლაციო ხსნარით. საინტერესოა, რომ ეს კოლონები გადმოტანილია უძველესი დანგრეული ტაძრებიდან.

ძველი დროის ციმბირელი ქირურგების ინსტრუმენტები

სულ ცოტა ხნის წინათ ნოვოსიბირსკელმა არქეოლოგებმა

დაადგინეს, რომ სამხრეთ ციმბირის ტერიტორიაზე 2,5 ათასი წლის წინათ ქირურგები ურთულეს ოპერაციებს აკეთებდნენ, მათ შორის, თავის ქალის ტრეპანაციასაც. ამასთან, მათ ჰქონდათ ინსტრუმენტები, რომლებიც ევროპაში ჯერ კიდევ არ არსებობდა.

მეცნიერების თქმით, ჩვ.წ. აღმ-დე პირველი ათასწლეულის ბოლოსთვის ქირურგების არსენალში იყო ძვლის საჭრელი დანა, ხერხები, მჭრელი ინსტრუმენტები, სამედიცინო ზონდები და თანამედროვე სკალპელის ანალოგი — ლანცეტი. ასეთივე ინსტრუმენტებით სარგებლობდნენ ევროპაშიც. ერთადერთი გამონაკლისია ხერხები, რომლებიც იმდროინდელ ევროპაში არ გამოიყენებოდა.

სპილენძისგან – ოქრო

ბევრი მკვლევარის აზრით, უძველესმა ქურუმებმა იცოდნენ სპილენძისგან ხელოვნური ოქროს მირების საიდუმლო. მაგრამ ოქროს ჭარბ რაოდენობას შეეძლო ქვეყნებისა და იმპერიების ეკონომიკების დანგრევა და ამიტომ ამ საიდუმლოს ყველანაირად მალავდნენ. რომის იმპერატორმა დიოკლეტიანემ 296 წელს გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც უნდა გაენადგურებინათ ყველა ხელნაწერი ოქროს მიღების შესახებ. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამ მიზნით გაანადგურეს ალექსანდრიისა და კართაგენის ბიბლიოთეკები. საინტერესოა, რომ ეს ცოდნა უძველესი დროიდან შეიძლება მოდიოდეს. ითვლება, რომ ეგვიპტის ცივილიზაცია ჩვ.წ. 5 ათასი წლით ადრე იღებს სათავეს. თუმცა, მრავალი წყარო მიუთითებს იმაზე, რომ ამ დრომდე დიდი ხნით ადრე ეგვიპტის ტერიოტორიაზე უკვე არსებობდა მაღალგანვითარებული ცივილიზაცია. ცნობილი ფილოსოფოსი და მეცნიერი დიოგენე ამტკიცებდა, რომ ეგვიპტელები ასტრონომიულ დაკვირვებებს ალექსანდრე მაკედონელის დაბადებამდე 49 ათასი წლით ადრე აწარმოებდნენ, რომელიც ჩვენს ერამდე 356 წელს დაიბადა. ბერძენი ფილოსოფოსი სიმპილიუსი, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეში ცხოვრობდა, წერდა, რომ ეგვიპტელები კოსმოსს 630 წლის განმავლობაში შეისწავლიდნენ!

პანოიაშის განსაწმენდელი

პანოიაშის უძველესი განსაწმენდელი პორტუგალიაში მდებარეობს. იგი სამი უზარმაზარი მეგალითისგან შედგება, რომელთა ზედაპირზეც სხვადასხვა იდუმალი ღრმულები და ნაჭდევებია...

ერთ-ერთ ქვაზე ამოტვიფრულია ნაწერები ლათინურ და ბერძნულ ენებზე და აღწერილია ის რიტუალები, რომლებიც აქ ტარდებოდა. ნაწერების დანახვისას ისეთი გრძნობა ჩნდება, თითქოს ისინი მოგვიანებით, რომის ბატონობის პერიოდშია გაკეთებული.

ცნობილია, რომ განსაწმენდელი ჩვენი ერის დასაწყისში არსებობდა, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ის სხვა, ტექნიკური საჭიროებებისთვის გამოიყენებოდა. შესაძლოა, ეს უძველესი ქარხნის ან ნაგებობის ნარჩენები იყოს. ამოუცნობი მარტო ამ ფიგურების დანიშნულება კი არ არის, არამედ ისიც, თუ როგორ არის დამზადებული ყველა წვრილმანი — ხარისხიანად და დეტალურად, ყოველივე ამის გაკეთება პრიმიტიული ინსტრუმენტებით ხომ შეუძლებელია...

ალექსანდრე მაკედონელის წყალქვეშა ნავი

წყალქვეშა ფლოტის შესახებ ყველა წიგნი თუ სტატია იმისი თხრობით იწყება, როგორ ჩაყვინთა პირველად წყალქვეშ (მაშინდელი შესაბამისი მოწყობილობით) ალექსანდრე მაკედონელმა, რომელიც ჩვენს ერამდე IV ს-ში ცხოვრობდა. ამ წიგნებისა და პუბლიკაციების ავტორები ეყრდნობიან შუა საუკუნეების ნახატებს, რომლებზეც ეს პროცესია გამოსახული. გარდა ამისა, უძველესი ლეგენდების თანახმად, ქალაქ ტროაზე (ლიბანი) შეტევის განხორციელების დროს, ჩვ.წ. აღმ-დე 332 წელს, მაკედონელის ჯარისკაცები წყლიდან უტევდნენ მოწინააღმდეგეს — ისინი შუშის სათავსოებით ამოდიოდნენ წყლიდან.

XIII ს-ში მცხოვრები ფრანცისკანელი ბერის როჯერ ბეკონის ნაკლებად ცნობილ ხელნაწერშიც მოთხრობილია ალექსანდრე მაკედონელის წყალქვეშა ნავის შესახებ. ავტორი ამბობს, რომ წყალქვეშ მოგზაურობისას არსებობს ინსტრუმენტები, რომელთა დახმარებითაც ადამიანს შეუძლია ფსკერამდე მიღწევა ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების გარეშე. ამ ინსტრუმენტებს, მათ შორის, წყალქვეშა ნავებს, იყენებდა ალექსანდრე მაკედონელი წყალქვეშა სივრცეების შესასწავლად. მითებმა და ლეგენდებმა მათ შესახებ შუა საუკუნეებამდე მოაღწია, მაგრამ იმ დროისთვის უკვე დაკარგული იყო ტექნოლოგიები და შესაბამისი ცოდნა, ამიტომ იმ დროის მხატვრები და მწერლები ლეგენდებს უკვე მათი დროის შესაბამისი ცოდნის საფუძველზე გადმოგვცემდნენ.

ატლანტიდის საჰაერო ხომალდები

ნათელმხილველ ედგარ კეისის ხილვების თანახმად, ატლანტიდელებს ჰქონდათ სატრანსპორტო საშუალებები, რომლებსაც მე-20 საუკუნის 30-იან წლებში აეროპლანებს უწოდებდნენ, იმ დროისთვის კი საჰაერო ხომალდებს. თუმცა, ამ საჰაერო ხომალდებს არა მხოლოდ ჰაერით შეეძლოთ გადაადგილება. კეისი ამბობდა იმასაც, რომ ატლანტიდაში სატრანსპორტო საშუალებებისთვის ფართოდ გამოიყენებოდა ელექტროენერგია, არსებობდა დისტანციური ფოტოგრაფირება, შეეძლოთ ტექსტების კითხვა არა მარტო დისტანციურად, არამედ კედლის იქითაც და დაძლეული იყო გრავიტაცია.

ბერძნული ცეცხლი – იდუმალი იარაღი

ბერძნული ცეცხლი — ეს იდუმალი იარაღია, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე არსებობდა, მაგრამ რომლის რეცეპტიც დაიკარგა. თუმცა, ცნობილია, რომ ის ფართოდ გამოიყენებოდა შუა საუკუნეებში ხის ცეხესიმაგრეებისა და გემების გასანადგურებლად. ეს ცეცხლი მოედინებოდა მილებიდან ან სიფონებიდან და, როგორც თვითმხილველები ამბობდნენ, ძალიან დიდი სისწრაფით.

აი, რას ამბობდა ამ ცეცხლის შესახებ ბიზანტიის იმპერატორი ბრძენი ლევი IX ს-ში: „ჩვენ სხვადასხვა საშუალებებს ვფლობთ მტრის დასამარცხებლად. გვაქვს ცეცხლი, რომელიც სიფონებიდან გამ, ოდის და უძლიერესი ხმაურით ანადგურებს ყველაფერს, რისკენაც მივმართავთ მას...“

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ლაუნჯი „ესკობარი“

ლაუნჯი „ესკობარი“ ეს არის ადგილი, რომელიც მრავალფეროვანი პროგრამით, უგემრიელესი კერძებითა და ბარმენის მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშებით ანებივრებს სტუმრებს. ცოცხალი მუსიკა, DJ, კარაოკე, ბენდი თუ სოლო შემსრულებლები, უამრავი გათამაშება და საჩუქრები, ეს ჩვენი ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილია. ორშაბათიდან – ორშაბათამდე, დილის 10:00 საათიდან – გამთენიის 04:00 საათამდე, ესკობარი მზადაა აქციოს თქვენი დღე დღესასწაულად. ლაუნჯი „ესკობარი“, მისი უმშვენიერესი ტერასით, მზად არის უმასპინძლოს თქვენს კორპორატიულ საღამოებს, პრეზენტაციებსა თუ სხვადასხვა ღონისძიებებს.

მისამართი: თბილისი,
ავლიპ ზურაბაშვილის N 13-15
ტელეფონი: 555 607 999

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983